სევერიან �იანი

ლექსები

ᲘᲞ ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲛᲝ ᲒᲠ

სევერიან ისიანი

(1913—1943)

„თუ მტერმა დამცეს ხმალგაბასრულმა,
დარდს ნუ მოიხვევთ ლრუბლის გუნდებად.
რა ვუყოთ, ონმ ბევრი წასწლა.
მაგრამ ყველა ხომ ვერ დაბრუნდება“.

სევერიან ისიანი

ეს სიტყვები საოცარ წინათგრძნობად იქცა პოეტისათვის. და თუ მართალია ლიტერატურის ისტორიისათვის ცნობილი დებულება, რომ პოეტის ცხოვრებას ყველაზე საუკეთესოდ ჩისი ლირიკა გადმოგვცემსო, მაშინ ძნელია ილაპარაკო სევერიან ისიანის ბიოგრაფიაზე და გვერდი აუარო იმ ლექსებს, რომლებშიც ამ კრებულის ავტორმა თავისი ცხოვრების თითქმის ყველა ძირითადი მომენტი ასე კარგად გამოხატა.

ლიტერატურულ ასპარეზზე ისიანი ლირიკით გამოვიდა და ზარბაზნების გრიალშიც ლირიკითვე დაამთავრა. მის ლექსებს ახასიათებდა პოეტური გულწრფელობა, ფოლკლორული სისადავე, მგზნებარე ტემპერამენტი, შინაგანი ენითბო და მხატვრული სახის ბუნებრივობა. მის პოეზიას სილამაზეს აძლევდნენ მოხდენილი მეტაფორები, შედარებები, პარალელები, კონტრასტები და მშვენიერი ფიგურალური გამოთქმები.

თავისი ცხოვრების ოცდამეათე წელს ისიანი ბრძოლის ველზე შეხვდა, როგორც მამაცი მებრძოლი და ლირიკოსი პოეტი, საბჭოთა მოქალაქე და მგზნებარე პატრიოტი. 1941 წლიდან იგი მომქმედ არმიაში იყო, იარაღით ხელში ებრძოდა გერმანელ ფაშისტებს. საბრძოლო ნათლობა მან ყირიმის ნახევარკუნძულზე მიიღო და პირველად აქ დასჭრეს გერმანელებმა.

ფრონტიდან გამოგზავნილ წერილებში პოეტი აღტაცებული სწერდა წითელი არმიის გმირულ ბრძოლაზე. მას ხიშტთან ერთად კალამიც ამაყად ეჭირა ხელში. ნიკოლოზ ოსტროვსკივით იგი „ხმლისა და ჩანგის გამომსახველი“ გახდა. მის საველე ჩანთაში კომისრის ინვენტართან ერთად ლირიკულ-პატრიოტული ლექსების ხელნაწერებიც ეწყო. ბრძოლით ასე მოიარა მან ქერჩის მიდამოები და უკრაინის ველები, უხვი ყუბანი და ბელორუსიის ტყეები. სტალინგრადის გმირული ეპოპეის დღეებში იგი სიამაყით იწერებოდა ფრონტიდან: ჩემი ბატარიის „კონცერტები“ ცნობილია გერმანელებისთვისო. სამი თვის შემდეგ სწერდა: მართალია ერენბურგი: ახლა სერენადების დრო არ არის, ახლა განგაშის დროა. ყირიმში ბრძოლაგადახდილი თავის ვაჟკაცობას იგონებდა: ყოველთვის ვეცდები არ შევარცხვინო ჩემი თავი და არც მეგობრები. ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სიცოცხლე არასოდეს დამენანება... ჯალათები ვერ შემოლეწავენ კავკასიონის ზღუდეს — ჩვენს გულისფიცარს. ვერ მისწვდეს ჭაღარა ყაზბეგს მათი ბილწი ნზერა. საკუთარი ძვლებით გადავუღობავთ გზას ჰიტლერელთა ურდოებს.

დასავლეთის ფრონტზე პოეტი მესამედ დაიჭრა. ეს იყო 1943 წელი. ამ დღეებში იგი იტყობინებოდა, რომ მოსკოვის ჰოსპიტალში მიიყვანეს. გამოწერის შემდეგ

რამდენიმე დღე დედაქალაქში გაატარა. მწერალთა სასახლეში ხშირად შედიოდა. დაესწრო პრეზიდიუმის სხდომას, ალექსი ტოლსტოის რომანის — „Хождение по мукам“ გარჩევას. ფრონტზე უკანასკნელად მიმავალი პოეტი თავის შთაბეჭდილებას ასე გადმოგვცემდა: „მწერალთა კლუბში მოხუცებს შეხვდები, ან პოეზიის გენერლებს. ჯარისკაცები და საშუალო მეთაურები ფრონტზე არიან... გავდიოდი მოსკოვიდან, მაკვირვებდა ბრძოლების კვალი: ნუთუ ასე ახლოს იყვნენ ვერაგები!.. ვწერ ამ წერილს და ფაშისტური ყორნები დაგვტრიალებენ თავზე. ვერასოდეს მისწვდნენ ქოფაკები ჩემს ვეება ქვემეხებს. ვისვენებ გუშინდელი კანონადის შემდეგ. ვიწრო და უსინათლოა ჩემი მიწური, მაგრამ ასე ნათელი და ფართო სახლი არსად მგონია. ერთი ციდა ფანჯრიდან შემოდის ბრიანსკის ნაძვნარის სურნელი“...

ასეთი განცდებით იყო აღსავსე მისი პატრიოტული წერილები ფრონტიდან. ამ წერილებში სამშობლოს მხურვალედ მოყვარული შვილი, მისი ღირსებისა და თავისუფლების ნიჭიერი მომღერალი ლაპარაკობდა.

სავსებით ბუნებრივია, რომ ისიანის პოეზიის ძირითადი თემა იყო სამშობლო, მისი გამარჯვება, მისი ბედნიერი აწმყო და მომავალი. პოეტმა ლირიზმით აღსავსე შესანიშნავი ლექსები მიუძღვნა დიდ სტალინს — საბჭოთა ხალხის ბედნიერებისა და გამარჯვების გენიალურ შემოქმედს. ისიანის ლექსი „სვანური სიმღერა სტალინზე“ დაბეჭდვისთანავე ერთ-ერთი პოპულარული ნაწარმოები გახდა. მან ფართო მკითხველი მასის ყურადღება მიიპყრო. ამ ლექსს რუსულმა სალიტერატურო კრიტიკამ და პრესამ მაღალი შეფასება მისცა. იგი გვხიბლავს უშუალობით. ორიგინალობით და პოეტური ოსტატობით. ყოველ სტრიქონში ავტორი ამჟღავნებს უდიდეს

სიყვარულს ხალხთა ბრძენი ბელადისადმი. ბედნიერი და თავისუფალი სვანი ასე მიმართავს ამხანაგ სტალინს:

„მუდამ წყვდიადი გვებურა, —
გაგვიხსენ ზეცის კარები,
წამოგვაყენე მთებურად
გვარები ჭრინარები, —
ჩვენს გულში ჩახორცებულან
კონსტიტუციის ბწკარები“.

ისიანის ლირიკა ადამიანურ განცდას ბუნებრივად და სადად გადმოგვცემდა. ამჩნევდა ბევრ ისეთ მოვლენას, რომელიც ინტიმურ ქვეყანაში მოულოდნელობად იქცეოდა. თავის ლექსებში სიყვარულის თემას მან მოუნახა ისეთი ნიუანსები, რომლებიც არ შეიძლება მკითხველის გულს არ მოხვდნენ. კითხულობთ ლექსს „საყვედური ჩემს საათს“ და გრძნობთ, თუ რა ღრმა ლირიკული განცდის პოეტთან გაქვთ საქმე. მან ეს თემა განძარცვა ყოველგვარი შაბლონისაგან და მისცა მოკრძალება. ის საყვედურს არ ეუბნებოდა თავის საათს, რომელიც დროის დინებას ატყობინებდა, მაგრამ „ძვირფას ლანდთან“ შეხვედრის მოლოდინში „ბედნიერების ჟამთ-აღმნიშვნელს“ მიმართავდა: წუთები ნელა გადის, „ხვალამდე მკერდში გულს ვერ დავატევ, უნდა აჩქარდე, უნდა მიშველო“.

„ჩემს ფიქრებში“ პოეტი ხედავდა, თუ როგორ მიდიოდნენ მუქი ნისლები ზეცისაკენ, როგორ ეძახდა ირემი ირემს, როგორ ეკვროდა ლაჟვარდს მერცხლების გუნდი, — მისი ფიქრები კი სატრფოსთან იყო. რეფრენი — „ჩემი ფიქრები კი შენთან არის“ უწმინდესი ადამიანური მორალის მხატვრულ სიმღერებად ისმის. თავის სატრფოს იგი ყოველთვის უსპეტაკესი გრძნობით უპასუხებდა:

„რადგან უშენოთ არ არის ჩემთვის
არც დასვენება, არც სიხარული!.."

მაგრამ როცა სამშობლომ თავისი შვილებისაგან მტერთან შებმა მოითხოვა, პოეტმა სთქვა: „არა, კალმის და წიგნების კაცად მე დღეს დარჩენა არ შემიძლია"ო. ფრონტზე წასვლის წინ გამოთხოვების წუთებს ისიანმა მიუძღვნა ლირიკული სტრიქონები, რომლებიც პოეტური მგზნებარებით არის გამთბარი. წასვლის წინ ის ხედავდა კრწანისის ველს, რომელიც თითქოს თვლემდა. ის ყველაფერს ხედავდა და ეთხოვებოდა, როგორც უდიდესი ვალის მოსახდელად შორს მიმავალი პოეტი-მხედარი:

„ჩემი აკვანი იქ გადაირწა,
მუხების ჩრდილში სტრიქონს ვჩარხავდი,
ჩემი თამაზის საფლავის მიწავ,
ნახვამდის!.."

ფაშისტური ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში პოეტმა აღმართა მახვილი და ფრონტზე დასწერა საბრძოლო მოწოდებით აღსავსე ლექსები. მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილი მან ჩააქსოვა ლექსის ყოველ სტროფში. ისიანმა იცოდა, რომ თუ მტერი, რომელიც ვერაგულად შემოიჭრა ჩვენს აყვავებულ ველ-მინდვრებში, მოსპობილი არ იქნებოდა, ქვეყნად წყვდიადი დაისადგურებდა. ამიტომ მოუწოდებდა ის თავის ტოლებს და მებრძოლ მეგობრებს:

„გახედე, როგორ იწვის ტყე-ველი,
ლაჟვარდი ზეცა კვამლით დაბურეს.
აყვავებული ქვეყნის მნგრეველი, —
გაანადგურე!.."

საბჭოთა სამშობლო პოეტმა შეამკო თავისი საუკეთესო ლექსებით. მას ჰქონდა საქართველოს ბუნების

უხვ ფერთა რეალისტური ხედვისა და პოეტური გამოხატვის უნარი. მისი ჭაბუკური ოცნება მშობელ ქვეყანას დასტრიალებდა. მისი ოცნების კრიალა ცაზე მუდამ სამშობლოს დიდება ეწერა. სამშობლოს მზე პოეტისათვის იყო „უდასავლეთო და გაზაფხული დაუჭკნობელი". ამ ქვეყნის დასაცავად იგი ნიჭს, გატაცებას, ენერგიას და თვით სიცოცხლესაც არ იშურებდა. მონურად ქედმოხრილობას საძმო საფლავში წოლას არჩევდა. სამშობლოს დაცვას თავის უწმიდეს მოვალეობად სთვლიდა. ასე ესაუბრებოდა არა მარტო ადამიანებს, არამედ ბრძოლაში დაახლოებულ საგნებსაც. მათთან ერთად გაიარა პოეტმა ცეცხლწოდებული ბრძოლის ველები, და როცა გარემოებამ ერთ მათგანს დააშორა, ეს უდიდესი ადამიანური გრძნობით გამოხატა. ასე გადმოგვცა მან გულისტკივილი თავის მებრძოლ მეგობარ ლურჯასთან დროებითი განშორებისა:

— „მე განშორებას ბევრს მოვესწარი, —
ასე წავიდა ჩემი ცხოვრება,
მაგრამ ისეთი ძნელი და მწარე
მაინც არ მახსოვს მე განშორება".

ყველა საგანსა თუ მოვლენას პოეტი ორგანიულად უკავშირებდა სამშობლოს სიყვარულს, მის დიდებას და ამ ასპექტით უცქეროდა შემოქმედის ამოცანასაც. სიგიზმუნდ ლევანევსკის პირით იგი თავის პატრიოტულ განცდას გამოხატავდა ლირიკულ სიმღერაში: „დაე სამშობლოს მსხვერპლი მიწოდონ, მეტი არ მინდა ქვეყნად სახელი". და მას მეტი სახელი მართლაც არ უძებნია არც პოეზიაში, არც პირად ცხოვრებაში. სამშობლოს სუფთა ზეცას იგი ქება-დიდებას უმღეროდა მღელვარე გულით: „და მე არ ვიცი რად ღელავს გული, ან რად მგონია ეს სუფთა ზეცა, ზეცა კრიალა და ლაჟვარდუ-

ლი — თითქოს ჩემს სულში ჩამოიკეცა". მაღალი მთების მხარგაშლილობაში პოეტი ხედავდა სიდიადეს, ამაყობდა, რომ ამ ბუნებისა და ქვეყნის შვილი იყო. ვრცელ ქვეყნიერებაზე იგი უკეთეს ვერაფერს ხედავდა — საბჭოთა სამშობლო მაღლა იდგა უსაზღვრო ლაჟვარდებით, ახავერდებული გაზაფხულით, მზის ქვეშ გაღიმებული ვარდებით — ყველაფერი ეს გულს რომ ახარებს და არ აბერებს:

„სად იცის მიწამ ასე სუნთქვა, ცამ — ლაჟვარდები
და გაზაფხულმა — ახავერდება?
რომელი მზის ქვეშ იცინიან ასე ვარდები?!
ლაღობს გული და აღარ ბერდება".

პოეტი ამაყობდა, რომ მას ზრდიდა კომკავშირი, საბჭოთა სამშობლო. ბოლშევიკურ პარტიას, ლენინურ-სტალინურ კომკავშირს, რომლებმაც იგი აღზარდეს, ისიანმა უძღვნა მშვენიერი ლექსები. ეს პოეტური სტრიქონები გამსჭვალულია უდიდესი გულწრფელობით და სიყვარულით. ამ ლექსებში ყველგან ვგრძნობთ პოეტის საკუთარ მაჯისცემას და ორიგინალურ ხმას. იგი არავის არ იმეორებს. ცდილობს თვითონ განიაზროს, თვითონ დაინახოს, თვითონ შეჰქმნას. ეს დიდი პლიუსია საერთოდ მისი პოეზიისათვის. ისიანის მებრძოლ ლირიკაში ჩვენ გვესმის კომკავშირული თაობის გმირული ხმა:

„ჩვენ კომკავშირი გვზრდიდა გმირული,
ვიცავთ სტალინის უძლეველ დროშას.
სამშობლოს საზღვრებს შემორკინული
კვლავ მებრძოლებად შევრჩებით დრო-ჟამს"

ასეთ მეომრად წაიზრდა იგი სამამულო ომში, რომ მტერს შებმოდა, და ბოლომდე მართლაც ასეთ მებრძოლად „შერჩა დრო-ჟამს".

ისიანი დაუღალავად, მთელი არსებით მუშაობდა ლექსზე, მის ყოველ სტრიქონზე. ამ მხრივ ის საუკეთესო მაგალითია ახალგაზრდა პოეტებისათვის. თვითეულ ლექსში იგი ამჟღავნებდა უდიდეს სიყვარულს პოეზიისადმი და ყველაფერს უკავშირებდა თუნდაც ერთი სტრიქონის მხატვრული მწვერვალის მიღწევას. მას იზიდავდა სიტყვის უბრალოება, სწამდა, რომ მასში „ნამდვილად დიდი სიბრძნეა“, — როგორც გორკი ამბობდა. მას ერთი სიმღერის მარადსაყოფად არაფერი არ ენანებოდა, ნატრობდა, რომ ყველა განცდა სიტყვას დაეტია. შესაძლოა მის ლექსებში სწორედ ამიტომ გვხვდება ჩვენ შემოქმედებითი პაექრობა და პარალელიზმი. ის მესაჭეს ეტოლებოდა სიმძაფრესა და გაქანებაში:

„მეც ხომ სტროფებში ველარ ვეტევი,
როცა ღიაა გულის კარები.
მაშ, გვახარებდეს გადამეტებით:
შენ — გარბენილი კილომეტრები,
მე — სადღეისო ლექსის ბწკარები“.

ასეთივე ხმითა და განცდით ეხმაურებოდა მფრინავ გოგონას. მისი თვითმფრინავის ყოველი ჩამოქროლება აღუძრავდა სურვილს, რომ

„...ერთხელ მაინც შემაძლებინა. —
ხღაპრული ძალა მივსცე სტრიქონებს,
რომ აგადევნო ელვის ისრებათ“.

ამ ლექსის უკანასკნელი სტროფის მართლაც „უცნაურ ფრიალში“ ადვილი გასაგები ხდება, რომ არსებითად ეს იყო შემოქმედებითი გზნების მეორედ განცდის მძაფრი სურვილი, ვიდრე მოგონების სასიხარულო ათრთოლება:

„და გვიან... როცა სამარის ლოდზე
დამაწვებიან წლები მწუხრივით.

ბყუდროებაში რომ ინრიალონ, —
მინდა მაშინაც კი მომაგონდე
და ჩამომესმას შენი ქუხილი,
რომ უცნაურად შემაკრიალოს!"

უფრო ადრე დაწერილი ლექსი „არ დაკარგულან-
დღეს ისე ისმის. როგორც ავტობიოგრაფია. პოეტ-
ალმზრდელ ქვეყანას მიმართავდა და ეუბნებოდა ღრმა
ლირიზმით გამთბარ სტრიქონებს:

„საით წასულან შენი ვაჟები,
შენი გმირები ცეცხლის თვალება.
რომ იტაცებდათ გარიჟრაჟები
და ქარიშხალში დროშის ტარება.
მათი გულები ტყვიით დახრული
ნუთუ წყვდიადის ქვეშ იფარება.
აღარ ბოესწროთ გამოზაფხული,
ზეცის ამგვარი გამოდარება"!.

მაგრამ მათი ხსოვნა პოეტისათვის მუდამ დაუვიწყარი
იყო და სამშობლოს დიდების მწვერვალზე ყოველთვის
იხსენებოდა თავდადებულ გმირთა სახელი. ამ ადა-
მიანთა რიცხვს ეკუთვნის სევერიან ისიანიც. ამ გმი-
რების შესახებ იგი სამშობლოს ეუბნებოდა: „ქვეყნად
გაისმის შენი დიდება და მათ საფლავებს აყრიან
ვარდებსო".

ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ ცნობიერებაში
უნებლიეთ წარმოსდგება შორს, ბრიანსკის ნაძვნარებში
ძმათა სამარე, ან მის ახლო განმარტოებით მდგარი
საფლავი, რომელსაც ბუნების უხვი კალთა ყვავილების
თაიგულებით მოსავს. თუ მას ნათესავთა მიერ გვირ-
გვინებით შემკობა ჯერ არ უწერია.

პოეტის ლექსი და გული ორგანიულად იყო შეერ-
თებული. რაც დაუწერია, ყველაფერი მისი სულის სი-

ლრმიდან მომდინარეობდა. რასაც წერდა — მისი გულ-
წრფელი განცდა იყო. ასე გვესაბება ისიანის პორტ-
რეტი — ნათელი და იმედიანი სახე გაშლილი თვალებით.
ჰის ჭაბუკურ ფანტაზიას და შემოქმედებითი ცეცხლით
ანთებულ გულს ბევრი რამ ჰქონდა სტროფებში სათქმე-
ლი. მტერმა არ აცალა მას მთლიანად გადმოეშალა
ლექსებად სულის მთელი შინაგანი სილამაზე და სიყვა-
რული. მაგრამ პოეტის მებრძოლმა მეგობრებმა მრისხ-
ანედ იძიეს შური. მალე ისინი წითელ არმიასთან ერ-
თად ძლევამოსილად შევლენ ბერლინში.

ამ დიდ ისტორიულ დღეს უმღეროდა და ეტრფოდა
პოეტი!

გ. ჯიბლაძე

22/III — 45

ლექსები



სვანური სიმღერა სტალინზე

გვეღირსა მწუხრის გადნობა,
ცრემლები აღარ გვდიანო.
მადლობა, მუჟეღვ*, მადლობა,
ვაჟკაცნო ფოლადიანნო,
გვამღერებს შენი სარდლობა,
ხმები ქუხილად დიანო!..

ლახვარო, მტრისთვის ბასრულო
და უშბავ, ქარ-ბუქიანო,
მზეო, მწვერვალზე ასულო,
თერთმეტი მზის შუქიანო,
დიდებით შემოგარსულო,
სწორუპოვარი გქვიანო!

* ბელადი.

შენზე ოცნება გვალაღებს,
შენით დამდგარი დარები,
მზის შუქით მოავარაყე
ტევრები ნაბინდარები,
შენი ლამპარით გავაღეთ
ბედნიერების კარები.

გიმღერენ საჯიხვეები,
ნისლები და ფშიარები,
გიმღერენ ნაძვის ხეები
რტოების აშრიალებით,
გიმღერენ სალი კლდეები
ყინულის ჯავშნიანები...

გიმღერენ იალაღები,
მთები თეთრნაბდოსანები,
გუშინ ძმის სისხლის ამღები,
მთებთან შეზრდილი სვანები;
მზიანი ზეცის თაღები
და მობიბინე ყანები...

მოვსპეთ უგზობა, წუხილი, —
გზატკეცილები კრიალებს,
საერთო შრომის დუღილი
გვანთებს, გვარიჟრაჟიანებს.
შენზე სიმღერის ქუხილი
მყინვარებს შეაჟრიალებს.

გადარჩენ ჟამთა ქარტეხილს
და გომურებშიც მზე არი,
ბერია მტრების გამტეხი,
გვალაღებს თავაზიანი,

შენი ფოლადის ნატეხი,
შენი მზის თანაზიარი.

როცა ენგურზე წევს ნისლი
და მზის ბაირაღს ცა გაშლის,
გულმადნიანი მთის სისხლი,
გვეძახის შმაგი ცარაში,*
რომ მისი ზვირთის ხარისხიც
შევიდეს შრომის ძალაში.

მუდამ წყვდიადი გვებურა, —
გაგვიხსენ ზეცის კარები,
წამოგვაყენე მთებურად
გვარები უჩინარები,
ჩვენს გულში ჩახორცებულან
კონსტიტუციის ბწკარები.

ქვეყნები მოვლონ ვრცეული, —
ვერ ნახონ ეს განთიადი.
ნახონ: ცა ჩამოქცეული.
ნახონ: სისხლი და წყვდიადი.
შენ კი ედემად ქცეული,
მოგვეც სამშობლო დიადი.

რომელმა გმირმა მოთხაროს
ეს მთები ცამდე მაღალი,
რომელმა ენამ მოთვალოს
შენი მზის ნაამაგარი,
კაცო ლომგულო, ლომთვალო,
რამ გზარდა ასე მაგარი!..

---

* მდინარის სახელია.

ᲬᲐᲜᲨᲝᲑᲚᲝ

ჩემი ოცნების კრიალა ცაზე
მუდამ შენი მზის არის დიდება.
მისი სხივები და სილამაზე
არ ინისლება, არ იბინდება.
იდიდოს იგი, მარად ბრწყინვალე,
ცასა და მიწას არ მოსწყინდება,
ქვეყნად დაადნობს ყველა მყინვარებს, —
მსოფლიო ცაზე ამობრწყინდება!

მრავალფერიანს, მრავალმთებიანს,
აგყვავებია ტყე და ხნულები,
სახე ღიმილით გაგნათებია,
ვარდი გფენია მკერდზე ულევი.
დანაცრებულა ცა ხშირბინდება,
ბაღად ქცეულან უდაბურები,
ყველგან გმირობის ისმის დიდება,
ქვებიც მღერიან გულჩადგმულები...

მღერიან შენი მთები, ველები,
შენი ვოლგა და შენი ენგური.
ეს სიხარული, ეს სიმღერები
ჩვენს გულებშია ჩამონერგული.
მღერიან შენი გარიჟრაჟები,
დაუორუბლავი ვარსკვლავით კრიბული.

მტრის ამკაფავი შენი ვაჟები
ცა და ხმელეთზე გამაგრებული.

ვინ აამღერა ამდენი გული.
ვინ შთააგონა გმირი ამდენი,
შენს დიდ საზღვრებზე შემორკინული,
სასწაულების შენთვის ჩამდენი?
ცას ვინ მოსტაცა მზე დიდებული,
ქვეყნად ხალხისთვის გადმონადენი,
მოხუცი, წლებთან შეჭიდებული,
მღერის: „მეორედ დავიბადენით“...

შენს სიდიადეს რომ დაედაროს,
ცისქვეშ ნახულა მხარე რომელი?
მვილებს არგუნე, დედავ ნეტარო,
ზღვა სიხარული დაუშრობელი.
შენს დაძახილზე თუ არ ავენთო, —
გამრისხებია მიწა მშობელი,
შენი მზე არის უდასავლეთო
და გაზაფხული დაუჭკნობელი!..

გაანადგურე!

სისხლით და ოფლით მთები დავსძარით,
ქვეყნად ჩაგრულებს შვება ვარგუნეთ.
მტერმა დაანთო ომის ხანძარი, —
გაანადგურე!
გახედე, როგორ იწვის ტყე-ველი,
ლაჟვარდი ზეცა კვამლით დაბურეს.
აყვავებული ქვეყნის მნგრეველი.—
გაანადგურე!
გესმას მოძმეთა ბრძოლის ძახილი,
მკერდით იცავდე ქარხნებს, სადგურებს.
მტერი ბავშვებსაც დასდევს მახვილით,—
გაანადგურე!
ბევრი სახლია ჩაბნელებული,
სისხლი ჩამოსწვეთს დამსკდარ აგურებს.
ხმალამართული ყაჩაღის გული, —
გაანადგურე!
თუ არ შემუსრე მტერი-მტარვალი,
ქვეყნად წყევდიადი დაისადგურებს.
გაანადგურე ქვეწარმავალი,
გაანადგურე!..

1942 წ., 17/XII

ნახვამდის

მჯერა მამულის მზე არ გამწირავს,
გულში სათუთად რომ ვინახავდი.
დედის ჭაღარავ, ჩემო მარიკა,
ნახვამდის!..
ცაში ცეცხლია ლაჟვარდის ნაცვლად
და ყუმბარებით მთები იძვრიან.
არა, კალმის და წიგნების კაცად
მე დღეს დარჩენა არ შემიძლია.
ჩემი აკვანი აქ გადაირწა,
მუხების ჩრდილში სტრიქონს ვჩარხავდი.
ჩემი თამაზის საფლავის მიწავ,
ნახვამდის!..
გფიცავ, შავ სიკვდილს თვალში ჩავხედავ.
საზიზღარ მტერზე ხიშტშემართული,
მე ასე მზრდიდა სამშობლო-დედა,
მე ასე მზრდიდა მიწა ქართული.
მე თქვენს სიმწვანეს, მშობელო მთებო,
შემეძლოს, -- მკერდში დავიმარხავდი,
ჩემო ჭაღარა გოლიათებო,
ნახვამდის!
თუ მტერმა დამცეს ხმალგაბასრულმა,
დარდს ნუ მოიხვევთ ღრუბლის გუნდებად.

{ რა ვუყოთ, ომში ბევრი წასულა,
მაგრამ ყველა ხომ ვერ დაბრუნდება...
არა, სამშობლოს მხე არ გამრიყავს,
გულში სათუთად რომ ვინახავდი.
დედის ჭაღარავ, ჩემო მარიკა,
ნახვამდის!..

ყველაფერს ვხედავ

ბნელა. რიონი მთებს იქით დარჩა.
გვაცილებს მტკვარი — მზრუნველი დედა.
შენ მეუბნები: თბილისი არ ჩანს,
მე კი ყველაფერს, ყველაფერს ვხედავ.
ვხედავ: როგორ თვლემს კრწანისის ველი.
ჰხურავს მაისის ნოხი ფერადი.
ვხედავ: ვით დროშა ძირს დაუხრელი,
გადმოსდგომია ქალაქს ბელადი.
თუ სიყვარული სადმე გეგულვის,
სიბნელეშიაც დაინახავ,
ვხედავ: ამ ღამით შთაგონებული
ქალაქში დადის შოთას სახება.
ვხედავ: ღრუბელმა როგორ შეჰბურა
მთაწმინდის მიწა დასაფიცარი.
ნინას ცრემლებით დასველებულა
გრიბოედოვის კუბოს ფიცარი...
ვხედავ: ნისლები მტკვარზე გაშლილი
ნაწვიმარ ბაღებს გადასწვდენია.
საფლავში ბორგავს ბარათაშვილი
ცეცხლმომდებარი ლექსის გენია.
ვხედავ: თუმც არის ძლიერ გვიანი.
მგოსნის ბინაში იწვის სანთელი:

დაქანებული ზვავის ხმიანი
ბღერის პოეტი ღამენათევი.
მზიურ ქალაქის ერთია ფიქრი,
ერთია მისი გულის იარა:
ამ კედლებს იქით, იმ კედლებს იქით
მტრის შესამუსრად სჭედენ იარაღს.
მრავალ ავდარში გამოუვლია,
ჰქონია ზეცა ცეცხლის მთოველი.
ის სააკაძის ქვეყნის გულია, —
მტერს ეკვეთება ბუჩქიც ყოველი.
ბნელა. რიონი მთებს იქით დარჩა.
გვაცილებს მტკვარი — მზრუნველი დედა.
შენ მეუბნები: თბილისი არ ჩანს,
მე კი ყველაფერს ყველაფერს ვხედავ.

1942

ჩემს ლურჯას

გადარუჯული ცეცხლით ველები
და მწკანე მთების მხარგაშლილობა...
შენ დამცქეროდი გულგახელებით,
თითქოს გტკიოდა ჩემი ჭრილობა.

ქაფიან ნაპირს მოადგა ნავი
და ჩვენ დავშორდით ერთმანეთს მალე.
შენი ჭიხვინი გულშემზარავი
მომაგონდება და მაჟრიალებს.

მე განშორებას ბევრს მოვესწარი, —
ასე წავიდა ჩემი ცხოვრება,
მაგრამ ისეთი ძნელი და მწარე
მაინც არ მახსოვს მე განშორება.

ეს მეგობრობა რას შევადარო, —
საყვარელ მიწას ერთად ვიცავდით.
ჩემო ლურჯაო, ცეცხლში ნატარო,
ხსოვნას შერჩები კუბოს ფიცრამდი.

შენი მხედარი ისევ მხნედ არი,
შენთან იყო და შენთან დარჩება.
ბრძოლები გველის უფრო მედგარი
მშობელი ქვეყნის გადასარჩენად.

ბავშვების მკვლელებს მივსდევდით მაშინ,
ხეცა რომ იქცა ცეცხლის ენებად.
აქ, ჰოსპიტალის მყუდროებაში,
მე არასოდეს მომესვენება.

ფანჯრებს შორდება მზე ჩამავალი,
შორი ღრუბლების ზღვაში ვარდება.
ვფიცავ, არ მინდა მე სხვა წამალი, —
მომარჩენს ერთი განავარდება.

ჩვენ კვლავ შეეხვდებით ერთმანეთს მალე
ტყვიის წვიმაში გამოვლილები.
კვლავ დაგიკოცნი ჭკვიანურ თვალებს
და დუშმანს რისხვად მოვევლინებით!

1942

საბრძოლო ბადაძახილი

დაჰკარ! — გვეძახის ველი ვრცეული,
მოაქეს ძახილი მშობლიურ ქარებს.
ბრძოლის ველიდან უკუქცეული
მოკვდება, მიწა არ მიიბარებს.
გვეძახის გული სააკაძისა:
„მტერს ნუ გაუღებთ სამშობლოს კარებს“.
დაჰკარ! — გვეძახის დიდი ბელადი,
ცა — საყვარელი, ვერცხლის მძივება.
ბღვა ჩაიძინებს დაუშრობელი,
მებრძოლს არასდროს ჩაეძინება.
დაჰკარ, აჰკაფე! წინ მიგიძღოდეს
შურისძიება, შურისძიება!
დაჰკარ! — გვეძახის სამშობლო ვრცელი,
გვეძახის დნეპრის ზვირთების სრბოლა.
„ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჰეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას“.
დაჰკარ! — მონურად ქედმოხრილობას
საძმო საფლავში სჯობია წოლა.
გვეძახის ძმობის გრძნობა ნათელი,
განუყოფელი მამული ჩვენი.
უკრაინისთვის იბრძვის ქართველი,
საქართველოსთვის — უკრაინელი.

წინ! მტერი ვატყდეს სამარადჟამოდ.
მშობლიურ მიწას არ აწვეს გველი.
- - წინ! ვერ ეღირსოს გულმუხანათებს
სამშობლოს მკერდზე ლასვრის დაბჯენა!
მოძმე ხალხებმა ხმლები ამართეს,
უძლეველია ჩვენი მარჯვენა.
ერთი ფიქრი გვაქვს, ერთი სამშობლო,
ერთხელ სიკვდილი ან გამარჯვება!

25/III—43 წ.

მე და არწივა*

ერთი მიზანი გვაქვს უწმინდესი:
დაცვა სამშობლოს მთის და ბარისა.
ჩვენ ერთმანეთის გულისთქმაც გვესმის.
როგორც მეგობარს მეგობარისა.

ირგვლივ გვარტყია ძალა მთებური,
ვერ გაგვეკაროს უიმედობა.
დედა-სამშობლოს მზით ანთებული,
მე მას ვენდობი, ის მე მენდობა.

ჩვენი დიდება სისწრაფე არის
და სიმამაცე გულს ჩანერგილი.
გაგვასწრებს ველზე მქროლავი ქარი,
თუ მოსხლეტილი მთიდან ენგური?..

თავს რომ დაგვნათის ცისკარი დილის,
ლეგა ღრუბელი ვეღარ დაფარავს.
მტერს ვეკვეთებით ხმალამოწვდილი,
მე და არწივა ოქროსფაფარა...

თუნდაც მოვარდეს შრაპნელის დელგმა,
ცამდე სწვდებოდეს ცეცხლის ალმური,
ლაჩრულად ერთიც არ დაეცემა
ჩვენი მიწის და მზის მოყვარული.

ეს მთა და ბარი ედემის მსგავსი,
ოდესღაც მტერთა გადანათელი,
მზიანია და უფრო ძვირფასი,
ვიდრე ორთავე თვალის ნათელი!

---

* ცხენის სახელია.

როს მებრძოლებით ველი ივსება,
მთებიც ხარობენ აწვდილნი ცამდე.
არარის უფრო დიდი ღირსება,
ვიდრე სამშობლოს საზღვრებს იცავდე!

და გული ჩემი, ჩემი მარჯვენი,
ბასრი ხმალი თუ ლექსის ყუმბარა,
სამშობლოს ზრდისა და გამარჯვების
თანაზიარი დარჩება მარად.

ცხენსაც გული აქვს ალალმართალი,
მეგობრისათვის თავსაც გასწირავს.
ვერვინ იპოვოს მტრისგან დამფრთხალი,
დაუდეგარი ჩემი არწივა.

ჩვენი დიდება სისწრაფე არის
და სიმამაცე გულს ჩანერგილი.
ვერ დაგვეწიოს მქროლავი ქარი,
ვერც მოსხლეტილი მთიდან ენგური!..

1940 წ.

სამი ლექსი

1. უკვდავების ნათელი

უყვარდა მტერთა შემმუსვრელი ცეცხლის დანთება,
არვის უნახავს სისხლშემშრალი იმისი ხმალი.
წყვდიადს ბზარავდა მოელვარე თვალების ალით,
მხნედ ამართული, ვით ჭადარი აიმართება.
ჰაუბიცებით დაფატრულმა იციან მთებმა:
როგორ გარბოდნენ ფინელები მისგან დამურთხალი.
მგონია საფლავს ამოარღვევს უცნაურ ძალით,
რომ ერთხელ კიდევ სცადოს მუხლი და მტერთან
შებმა...
დილით, ხევიდან ამოსული აქ ნისლი სტირის.
მოხუცი დედა აქ ვერ მოვა რომ ნახოს შვილი,
თავს მხოლოდ ძეწნა დასდგომია თმებჩამოშლილი.
ასე მდუმარედ განისვენებს ამაყი გმირი.
მიწაში ჩარჩა, მზის ნათელი აღარ ეღირსა,
მაგრამ ნათელი დასციმციმებს უკვდავებისა.

2. ენგური

მთებში მძვინვარებს ყინვა და ქარი,
თუ შიშველ კლდეებს თოვლი ებურვის, —
მარად სწრაფი და მოუსვენარი,
ხევში ჩამოქუხს შმაგი ენგური.

რაც მიწას დასცქერს ზეცა გაშლილი
და დღის სინათლეს სცვლის ღამის ბინდი.
ენგური — მთების ამაყი შვილი
არვის უნახავს ზანტი და მშვიდი.
მე მიყვარს ჩისი ზვირთების ქაფი
და მქუხარება მაღალმთებური.
რადგან ყოველთვის წინ მიისწრაფის,
ვით მეომარი გულანთებული.

3. სასრულეთზე

შენსა ღიმილსა ღიმილი მთვარის,
მტერს უკუქცეულს — ქარი მგმინავი,
თითქო ეს ფარიც მტრის გული არის,
მისებრ შავი და გასაგმირავი.
შაშხანას მზეში კრიალი შვენის:
ჩემი მზრუნველი ხელი ატყვია.
აღარ მეღირსოს კვლავ ნახვა შენი,
თუ მიზანს ასცდეს ნასროლი ტყვია.

შესვლა ძართან

ვუძღვნი მათ, რომლებმაც ნაღმი-
მქუხარება სვანეთის თვალმიუვალ
მთებში შეიტანეს.

შებინდებულან თეთრი შარები
და ფერდობები ჩამოღარული.
მე ჩემ სოფელში მივეჩქარები,
მგზავრი გვიანი და მოხარული.

რამდენი ფიქრი გზაზე მწვევია,
ჰქონია სითბო შეუცნობელი:
აღარ მიხილავს, ოთხი წელია,
მთებში ჩადგმული ჩემი სოფელი!

ზამთრის სუსხია. ვფიქრობ მდუმარი:
გზა თოვლიანი თუ გავათავე, —
შევაღებ კარებს, როგორც სტუმარი.
მე — სიხარულის ცრემლის სათავე.

გზას გადმოჰყურებს კლდე და ღრუბლიანს
გადმოუჩრდილავს ჭალა ქვიანი,
თითქო მოხუცი მამის შუბლია,
ნაოჭდაყრილი და ოფლიანი.

იქვე გორაკი გდია ქოხივით,
ყრუ ბილიკები ირგვლივ უვლიან.
კლდეზე ნაძვები წელში მოხრილი,
რიონის გულში ჩახატულია...

ამ წუთში დუმდა თებერვლის ღამე,
იდგა ამინდი ცივი და წყნარი.
გამოვასწარი თოვლიან ხრამებს, —
მოვარდა ქარი.

— სად დაიბადე პირგამეხილი,
რა უცნაური ზეცა გებურა.
გზებიც კლდეებზე გადაგრეხილი
შენი ხმაურით გაფითრებულა!

რა გზით მოიქერ, რა ჭირხლიანი
მიდამოები მოითარეშე?!
დამეცი გზაზე მრავალხმიანი,
მოლოდინის და ფიქრის გარეშე!

ქარო, აფთარო და უცნაურო,
ყინვა და სუსხი ირგვლივ გაცვია,
მაინც მიგიხვდი: ისე ხმაურობ —
ლილეოს ხმები მოგიტაცია!..

მოგიტაცია გადაკარგული
დალის თვალების აელვარება,
ხმები ნარნარი, შიშდაკარგული,
მთების ნაღველი და მრისხანება.

მოგიტაცია მოხეტიალე,
ტოლდალუპული ირმის ძახილი,
ხევზე დაშვებულ შავის სიავე,
ლეგა ღრუბლები მთებზე დახრილი.

მოგიტაცია ღამენათევი
ნისლები ხევში შენაგუბარი.
ნაღმის ქუხილი — მთების კალთების
შემარხეველი მკაცრი სტუმარი.

და მოვარდნილხარ მთის ჯიშიანი,
ბარის მიდამოს რისხვად ევლები.
ხედავ? თოვლიან ხეთა შრიალით
მაღლა დგებიან წუნარი ველები.

'იქ ხომ კლდეები ლოდებს ტირიან,
როცა გმირები ნაღმით ხარობენ.
მთები ხეცაში ასვეტილია
და ლაჟვარდებში უჩინარობენ.

მზეს გაუსწორა მთიულმა თვალი.
შევატრიალეთ გომური მხისკენ,
სისხლის ამღები გადატყდა ხმალი
და უშბა ახალ სიმღერებს ისმენს.

შენ კი მოქრილხარ პირგამეხილი
(რა მოღუშული ზეცა გებურა!)
გზებიც, კლდეებზე გადაგრეხილი,
შენი ხმაურით გაფითრებულა.

ვის მოუკია ამდენი ღონე,
რომ გზებზე ბუღი დაატრიალე,
მე ქუთაისის მკვიდრი მეგონე,
ყოფილხარ თურმე მოხეტიალე!

ქარია, ქარი მთისჯიშიანი,
ისარკებიან სუსხით ველები.
კლდეს ეგრიხება ნაძვი შრიალით
და შეყინული სწყდება ცრემლები...

მზეს ამოიტანს რევოლუცია

პირსისხლიანი ფაშიზმი ცდილობს გაანადგუროს რევოლუციური იდეა: წვავენ მარქს-ენგელსის, გორკის, ჰაინეს და სხვათა ნაწერებს.

სასაცილოა! ნუ თუ ცეცხლს შეუძლია დაწვას რევოლუციური იდეა, იდეა მილიონ მებრძოლთა გულებში ჩაბორცებული?!

ავტორი

მაინც იელვებს ბრძოლის მახვილი
და რისხვიანი გამბედაობა.
ზეცას მისწვდება მეხურ ძახილით
ტელმანის ჯიშის ახალთაობა.

როტფრონტელების ძლიერი ზურგი
დაედევნება დროშების შრიალს.
მათი გულიდან ლიუქსებურგი
და რკინის კარლი ვერ წაუშლიათ.

ვერ წაუშლიათ ყრუ ციხეებით,
ვერც მახრჩობელა გაზების ნისლით,
მათ აძლიერებს ბრძოლის დღეები,
ბარიკადებში ჩალვრილი სისხლი.

სისხლს ოკეანეც ვერ გადარეცხავს,
მიწას აჩნია როგორც ბრალდება.

ის დარბაზებში გაჩნდება ცეცხლად
და მსოფლიოზე აგრიგალდება.

აბა, სცადონ და აღკვეთონ მაშინ
მათი სიკვდილის საშინელება.
აბა, სცადონ და ჩააქრონ ქარში
სისხლი ქცეული ცეცხლის ენებად.

აბა, სცადონ და ანთებულ მასებს
დახვდენ ჰიტლერის მგლური ბანდები,
შესძლონ: რისხვით და ტკივილით სავსე,
სიმშვიდეს მისცენ ბარიკადები!

შესძლონ შესცვალონ კლასის ბუნება
საკუთარი გზა რომ შეუცვნია,
შესძლონ მომენტის შემობრუნება
და მზე ჩაუქრონ რევოლუციას.

არა და არა! ქედმოუხრელი,
მათთვის ეს ძალა ვის მიუცია?!
მილიონიან მებრძოლთა ნბრებით,
მზეს ამოიტანს რევოლუცია!..

ვის შეუძლია მებრძოლი მასის
ფრონტი ჩაჰქოლოს მხნე და ვრცეული?!
ბარიკადებზე დადგება მარქსიც
ჰაიგეტიდან *) გამოქცეული.

ვის შეუძლია ბრძოლის მოტივებს
წაართვას მტერზე შეტევის ჯანი?!

---

*) სასაფლაო ლონდონში, სადაც მარხია მარქსი.

ფრონტზე დარჩება ეჟენ პოტიე*
მარადჟამული ლექსების ჯარით.

როცა დარბაზებს გრიგალი უვლის
თქვენც სისხლის მსმელებს გმირულ შეებით, —
ჰაინესავით აქუხებული,
რევოლუციის მესიტყვეები!

სისხლმაც დაფაროს საბრძოლო ხაზი
მომაკვდავ ძმების მწარე ხრიალით, —
მაინც იმღერეთ ბრძოლების ხმაზე.
იმღერეთ, ძმებო, ქარიშხლიანი!

ეს სიმღერები ფრონტზე ივლიან,
არ ჩაუქრებათ ცეცხლის ალმური:
ლექსიც მრისხანე ორლესილია,
დაუჟანგავი მარადჟამული.

ვის შეუძლია ბრძოლის მოტივებს
წაართვას, ძმებო, შეტევის ჯანი?!
თქვენთან იბრძოლებს ეჟენ პოტიე
მარადჟამული ლექსების ჯარით!

ნუ თუ საკოს და ვანცეტის ვაჟებს,
დასცემს ჯალათს ხმალი და გესლი?!
აქუხებულან და მორიჟრაჟე
მამათა სისხლის ძახილი ესმით.

მათგან დროშები ჯერ არ დახრილან,
არც დაიხრება, თუნდაც დროებით.

---

* პარიზის კომუნისდროინდელი პოეტი, რომელმაც დაწერა „პროლეტარული ჰიმნი ინტერნაციონალი“.

ტელმანის ტანჯვის გამოძახილად,
ბერლინს შესძრავენ დიმიტროვები.

ჩინელო ძმაო, თვალებში გიცქერს
განადგურება, გარს რომ გარტყია.
დეე, ქუხილით ცა ჩამოიქცეს, —
ჯალათებს გულში დაეცი ტყვია!

შორეულ მოძმეს მიეცი ხელი,
თავგანწირული ის შენსკენ მოდის,
რომ გაიშალოს ქედმოუხრელი,
მსოფლიოს სიგრძის წითელი ფრონტი.

აბა, სცადონ და აღკვეთონ მაშინ
მათი სიკვდილის საშინელება,
აბა, სცადონ და ჩააქრონ ქარში
სისხლი ქცეული ცეცხლის ენებად.

აბა, სცადონ და მებრძოლი მასის
ფრონტი ჩაჰქოლონ მხნე და ვრცელი,
წაშალონ ბრძოლის იდეა მარქსის
მებრძოლთ გულებში ჩახორცებული.

არა და არა! ქედმოუხრელი.
მათთვის ეს ძალა ვის მიუცია?!
მთელს მსოფლიოზე, მებრძოლთა მხრებით
მზეს ამოიტანს რევოლუცია!..

ლევანევსკი

მომეჩვენება: მიდგეხარ თვალწინ,
ლეგა ღრუბლებით შემოზვინული.
მკერდით ეკვრები ფოლადის არწივს,
რომ შემოადნო ფრთებზე ყინული...

და მინდა სივრცე გავკვეთო რისხვით,
გავფანტო ნისლი შემოსეული,
გადავალვარო ჩემივე სისხლი,
რომ თვითმფრინავის გათბეს სხეული.

დაგიხსნა, ხელი გამოგიწოდო,
შემდეგ თუნდ გავქრე შენი მნახველი.
დაე, სამშობლოს მსხვერპლი მიწოდონ,
მეტი არ მინდა ქვეყნად სახელი!

დანატრებულო მზეს და განთიადს,
თავს დაგწოლია ჭირხლის სიმძიმე,
მაინც იმედი გულში ანთია,
მაინც იმედის შუქი ციმციმებს.

როგორ იქნება შიში და გესლი
ჟრუანტელივით ჩაგიდგეს ტანში,
გამამხნევებელ ქუხილად გესმის
განრისხებული ტალღების ტაში!

ჩემი ქვეყანა -- შენი მშობელი,
მდინარეები, მთები, ტყე-ველი.
ჩემი ფიქრები დაუშრობელი
და სტრიქონებში ჩაუტეველი

შენ მოგძახიან, შენ გეხებიან,
მოდიან გმირნი დაუძრახველნი,
მეშვიდე ცაზე მათი ხმებია
და მსოფლიოზე მათი სახელი.

კვლავ გაგეხსნება გზები დახშული,
თუნდა გმირებმა თავიც გასწირონ:
კვლავ აფრინდები ფრთების ტყლაშუნით,
ჩემი სამშობლო ქვეყნის არწივო!..

აკაკისადმი

შენ შემაყვარე ეშხიანი სიტყვა ქართული,
და პოეზიის იდუმალი ცა გამიხსენი.
ქვემეხს ვაქუხებთ, თუ ველზე ვართ ხმალამართული,
მე თვალწინ მიდგას სახება შენი!
ხალხის ფიქრისგან განუყრელი, განუყოფელი,
გმირებს უხმობდი, როს ქვეყანას სისხლი აწვიმდა.
წახველ და ორი აირჩიე შენ სამყოფელი:
ხალხის გული და მშვიდი მთაწმინდა.
ხარ სიყვარული და სიცოცხლე მარადჟამული,
თვით ბედნიერი კვლავ უმღერი ბედნიერ ერებს.
საქართველოში შენ ჩაუდგი ჩონგურებს გული
და უნაზესი გრძნობით აჟღერებ!
მე თითქოს დღესაც ჩვენს კრიალა ბანაკში გნახე,
იარაღასხმულ მებრძოლებთან ტკბილმოუბარი,
ტანს რომ სიამის ჟრუანტელით ააცახცახებს, —
შენი შაირის შარბათი არის!
გადაივლიან უთვალავი საუკუნენი,
ხალხში დარჩები შუქმოსილი ხალხის გენია,
რადგან დიადი შენი ჩანგი, სიცოცხლე შენი,
მშობლიურ ბელადს აღუდგენია!

გული და დღეები

მზე დაიღვრება ველზე ულევად,
ჩეროს გაიჩენს ყოველი ღერო.
დღეებს ჩამოაქვთ მხიარულება
და მათ შესახებ მინდა ვიმღერო.

მინდა ვუმღერო ამ მზეს, ამ ყოფას,
დილით ყანების ახმიანებას,
ერთი სიმღერის მარადსაყოფად,
მთელი სიცოცხლე არ შენანება!

სან გარინდებით შევსცქერი ამ ცას,
ამ მთებს, რომლებმაც ველი მოჩრდილეს,
ვნატრობ: არ იყოს ისეთი განცდა,
რომელსაც სიტყვა ვერ იმორჩილებს.

ასე მაღელვებს დღეთა ალმური,
და, გულო ჩემო, ვერ გაპატიებ —
აძდენი სითბო და სიყვარული
თუ სტრიქონებში ვერ დავატიე!..

ბელადის სახლი

გორის ციხესთან, ზვირთებმაგარი
მტკვარი რომ ლიახვს ლოდებზე ახლის,
ჭირნახული და ნაამაგარი
დგას საყვარელი პატარა სახლი.

იყო გრიგალი და ხელუხლები
ბევრჯერ შეირყა მთების გრეხილი.
ბევრჯერ დაეცნენ ველზე მუხები
სიჭარმაგეში გადატეხილი.

იყო მიწისძვრა და ქალაქს უცებ
ვოლდო ნგრევა გულშემზარავი,
მაგრამ ამ სახლის პატარა ფუძე
დარჩა მტკიცე და გაუბზარავი.

მთები ლაჟვარდებს მისგან ეღირსნენ,
მან გადააძრო მხრებზე წყვდიადი.
აღმოსავლეთმა შობა ერთი მზე,
მან კი — მეორე, უფრო დიადი.

ნათელ სვეტებში ჩამდგარა ახლა,
ქალაქს გასცქერის ომახიანად.
ქართლის მიწაზე ნაშენმა სახლმა
ქვეყნის კიდემდე გაიხმიანა...

მას მწვერვალებიც უცქერენ რიდით,
ბულბულს სიმღერა სხვაგან არ უნდა.
ყველა არწივი გორისკენ მიდის,
რომ ეამბოროს გმირის ნაბუდარს...

ბევრია ქვეყნად მთა გულზვიადი,
დგას უვნებელი მეხით, ქარ-წვიმით,
მაგრამ მოსისხლე ჩაგვრის, წყვდიადის,
რომელმა შობა არწივთ-არწივი!

ასე დიადი სახლი სად არი,
სახლი ქვისა თუ სახლი ფიცრული.
აქ დაიბადა ხალხის სარდალი,
მამა თერთმეტი ძმადშეფიცულის!..

1939 წ.

ამ მიწაზე, ამ ლიახვთან

მას ამ ველზე ურბენია,
აქ ისწავლა დედაენა,
აქ ხვდებოდა დილის ნიავს,
ვინც შესწყვიტა ტანჯვის თმენა,
ვინც გვიხსნა და გაგვითენა.

აქ გაიგო გმირთა-გმირმა,
დრო არ იყო დახანების:
მოუხმობდა მიწის გმინვა,
ქარის შფოთვა და ხმა წევის,
ხალხის ძვლები ნახმალევი.

ულიმოდა მზე დიადი,
მწვერვალებზე დანაბჯენი.
იტაცებდა განთიადი,
ამირანის მხარმარჯვენი
და სიმღერა გამარჯვების.

მან გვაღირსა ცა კრიალა,
მზე იყო და მზედ ინათა.
მიწა მოგვიცისკრიანა,
დადგა ყოველ ქოხის კართან
და მთასავით აიმართა.

შუქმოსილი გასცქერს დრო-ჟამს,
გვინათებს და ყველგან არი:
საზეიმოდ ღელავს დროშა,
თუ სანგრებში გმინავს ქარი...
ყველგან არი ხალხი მდგარი.

ლაჟვარდებს რომ აპობს გმირი
ბრძენის აზრით და გონებით,
დარი რომ დგას გასაკვირი
და მღერიან მთა-გორები, —
ყველა მისი შთაგონებით.

მტკვარო, ტკბილად გული გიცემს,
რომ მოესწარ ასეთ დარებს.
ისევ მხნე და ისევ მტკიცე
უცქერ ველებს და ვარდნარებს,
უკნობ ბაღს რომ დავადარე.

ამ მიწაზე, ამ ლიახვთან
იზრდებოდა ნორჩი მუხა.
შენ მეორე არ გინახავს
მისებრ სალი, მისებრ ჯმუხი, —
საქვეყნოდ რომ დაიქუხა.

შუქმოსილი გასცქერს დროჟამს,
გვინათებს და ყველგან არი:
საზეიმოდ ღელავს დროშა
თუ სანგრებში გმინავს ქარი, —
ყველგან არის, ხალხში მდგარი.

1939 წ. აგვისტო, ქუთაისი.

ნიკოლოზ ოსტროვსკის ხსოვნას

„Я опять вернусь к тебе“.
. . . . . .
(წერილიდან დედისადმი).

ნუთუ აწ ველარ გაუხარია
გუშინ რომ ჩანგის სიმებს არხევდა
და მზის მომღერალს თვალებღამიანს,
გონების თვალშიც ღამემ ჩახედა?

მისი ოცნების ზეცას ნათელი
ნუთუ ჩაუქრა, ნისლი ებურვის.
ნუთუ ამოშრა, ყველა სათქმელი,
გულში ზღვასავით შეგუბებული...

ნუთუ უმისოდ მოვა აპრილი,
ცას მიაფანტავს მერცხლებს გუნდებად,
გაუმტყუნდება, მას დანაპირი:
დედას ვერასდროს დაუბრუნდება.

უნახავს ძმები გულგანაგმირი,
ხიშტით იბრძოდა ფრონტზე მშიერი,
დღეს სტრიქონებთან დაეცა გმირი,
ჩვენი მიწის და მზის ნაშიერი...

წავლიან წლები დღეთა შრიალით,
მზესთან დარჩება მისი სახელი,

მისი სახელი ქარიშხლიანი:
ხმლისა და ჩანგის გამომსახველი.

სტრიქონთა ცეცხლი და გატაცება
გადავიწყების ააცდენს ავდარს.
და იტყვის ხალხი: მისი დაცემა
ციდან ვარსკვლავის მოწყვეტას ჰგავდა.

1936 წ.

გარბენის გმირს

ხარობდა ხევი მქუხარხმიანი,
სველი ლოდებიც თითქოს მღეროდნენ
გზები გველტანი, გზები ქვიანი,
და ლაჯანური* არაგვიანი,
შენს ვაჟკაცობას შემოსცქეროდნენ.

შენ კი მისდევდი გზას გალაღებით,
ხევში მანქანის ეხო ბორგავდა
და მარად სველი კლდეთა თაღები
ხშირი წვეთებით გულის წამღები,
მარტის წვიმიან ზეცას მოჰგავდა.

მას შემდეგ ოცჯერ შესკდათ სიცილი
კვირტებს და მწვანედ გადმოიშალენ,
გაყვითლებული და სახე ცივი,
ქარწალებული და დაცრეცილი,
ოცჯერ დაეცნენ ფოთლები შარებს.

მზემ ცას და მიწას აპრილი მისცა,
მერცხლები მისცა ხმადარხეული,

---

* მდინარეა ლეჩხუმში.

ოცჯერვე უტკბეს სიმღერად იქცა
ახალგაზრდა მზით დასისხლული ცა,
ცა, ორწოხებზე ჩამოხეული.

და ოცი წელი — ოცი მაისი,
ოცჯერ მოფრენა ურიცხვი მერცხლის,
ისევ მიმზიდველ ხმებად გაისმის
და საჭეს მართავს, როცა აისი
კრიალებს, როგორც შენი თმის ვერცხლი.

უფრო გაზრდილა, უფრო დიდია
გარბენის ცეცხლი და აღმაფრენა.
ფიქრები სხვა გზით რომ არ მიდიან,
შენ ინდუსტრიის თუ ხარ მინდია
და გესმის მუნჯი ლითონის ენა!

გესმის და იცი რკინას რა უნდა.
რა უნდა მფეთქავ მანქანის ძარღვებს.
სიძნელემ გზები ვერ გაგიმრუდა,
რჩეულის ეშხი გიტაცებს მუდამ
და გადარბენის მანძილს მიარღვევ.

სევდა დამდნარა დილის ბინდებად,
მწარე წარსულის ჩამოტანილი.
კედლიდან გიცქერს და გაკვირდება
ცისა და მიწის ორი დიდება,
ორი მარადი: მზე და სტალინი.

და როს აივნის კეკლუც ნარგიზებს
შემოღამების ბინდი ეცემა, —
მოვა და ბინას შუქით აგივსებს
რიონის გულში დანაბადი მზე
და ცის კალთებიც აიკეცება...

ჩემი ოცნების უბინდო ცაზე
შემოანათე დილის მზესავით,
სულში ჩამოდი, ვით სილამაზე,
ამასიმღერე ჭაბუკის ხმაზე
და ახლა სულის ხარ ნათესავი.

მაშ, მიმიხვდები თუ რა მამღერებს,
განცდის ჩქერები გულს რად უვლიან,
და ყურს დაუგდებ ლითონის ბგერებს,
გჯერა ეამთა სვლა ვერ დაგაბერებს,
ყოველი წუთი სიხარულია.

შენ მიმიხვდები, რად მითრთის ტანი,
გულში რად ხარობს გზნების ყვავილი:
— რომ გემონება გზები გველტანი,
მყობადის სითბოს ლექსში შემტანი,—
მეც ამ ხალისით ვარ აყვანილი...

და მაინც მინდა: იყო პირველი
კაცი ზღაპრული გმირის ბადალი,
რომ გაირბინო ორბელის ველი,
სვანეთის გზები გასაკვირველი
და გამობრუნდე ოქროს მადანით.

მეც ხომ სტროფებში ველარ ვეტევი,
როცა ღიაა გულის კარები.
მაშ, გვახარებდეს გადამეტებით:
შენ — გარბენილი კილომეტრები,
მე — სადღეისო ლექსის ბწკარები!..

მეტროში

დავტოვეთ მთვარე — ნამგალი ციდა:
ცა, ვარსკვლავები, ღრუბლის სურები
და მარმარილოს კრიალა ციდან
შემოგვცინიან ელნათურები.

როგორ დაიტევს სიტყვები მგოსნის,
რაც ახლა ჩემში ცეცხლი გუგუნებს,
დიდება, ძმებო, ხალხს ძლევამოსილს,
დიდება, ძმებო, ამ საუკუნეს!..

1938 წ., მოსკოვი.

ზამთარი ჩემს სოფელში

ყინვის ისრები კლდეს არ სწყდებიან,
ჩაბინდულ ხევებს ჩაუკლავთ სუნთქვა,
თითქოს ერთბაშად დავიწყებიათ,
რაც რიონს მთების სიმღერა უთქვამს.

ყინავს. აქა-იქ ჭრაქები თვლემენ,
ლანდებს აწვალებს სინათლე მკრთალი,
და ვარსკვლავები თავს იმართლებენ,
რომ ცივ ღამეში არ უდევთ ბრალი.

ხეტიალობენ, არ უჩანთ ბოლო
შარებს დილიდან ხმაურში დაღლილთ..
რა სიწყნარეა! ხანდახან მხოლოდ,
მთვარეს შეუყეფს ფხიზელი ძაღლი...

ღამეე, რამდენჯერ მოსულხარ ასე
ცამაღალი და სევდის დამტევი.
ხან: მოქარავნე ღრუბლებით სავსე,
ხან: მოფარფატე თოვლის ფანტელით..

გათავდა! გმირულ შრომის ხმაურით
ყოველი დილა ლაშქრობას მართავს,

და ვეუბნები, გულმოხარული,
ჩემი სიცოცხლის მეოცე ზამთარს:

ახლა ჩვენი ხარ. ახალი ყოფის
გაქვს დავალება მკაცრი და მტკიცე: —
შენს ცივ დღეებში ჩაღვრილი ოფლი
საგაზაფხულო შეტევად იქცეს.

არ დაკარგულან

სამშობლოსადმი

„... სისხლს, რომელიც უხვად დაღვარეს
ჩვენმა ადამიანებმა, ამაოდ არ ჩაუვლია.
მან თავისი შედეგები მოგვცა“.

სტალინი

საით წასულან შენი ვაჟები,
შენი გმირები ცეცხლის თვალება,
რომ იტაცებდათ გარიჟრაჟები
და ქარიშხალში დროშის ტარება.
მათი გულები ტყვიით დახრული
ნუთუ წყვდიადის ქვეშ იფარება,
აღარ მოესწროთ გამოზაფხული,
ზეცის ამგვარი გამოდარება!

ადრე ჩამქრალა მათი მნათობი, —
ვეღარ უხილავთ ეს მთა-გორები,
მიწა — მათივე მკერდით ნათბობი
და სიკვდილისწინ ნაამბორები.
მაგრამ სანგრებში ღამენათევი
არ დაკარგულან სისხლის ტბორები.
შენ შეგემატა მათი ნათელი
და სიჭაბუკე უმეორები.

მათზე შაირებს მთებიც არხევენ,
ქარი ამღერებს ჭაღარა ჭადრებს.
არ ივიწყებენ გმირთა სახელებს,
რომ დაცემულან რიჟრაჟზე ადრე.
ვერ გაიხარონ ღამის ბინდებმა,
ბნელი ხევებიც მზით აელვარდნენ.
ქვეყნად გაისმის შენი დიდება
და მათ საფლავებს აყრიან ვარდებს!

1938 წ.

ბელადი თეთნულდზე

კომკავშირელებმა თეთნულდზე
აიტანეს სტალინის ბიუსტი.

I

ცაზე ცურავს ღრუბლის ტივი,
ქვევით კი ღრმა ხევია.
ლაჟვარდების ნეგატივი
ენგურს ჩაუხვევია,
საჯიხვეში ქარის ტირილს
ხენი დაურხევია.

და ენგური გმინავს ხევში,
შმაგი, მქუხარხმიანი.
ჩქარობს ყოველ მოსახვევში,
როგორც მგზავრი გვიანი,
ქარი ტირის, ქარი ხვნეშის
უშბას ჯილაგიანი.

მზემ მთებს იქით ამოწვერა,
ნისლმა იწყო მგზავრობა.
ასდგომია მაღალ მწვერვალს
პირშიშველა თაობა.
იქნებ ვაჟას აეწერა
მათი გამბედაობა!

ბევრისმცოდნეე, ბევრისმთქმელო,
ჟამთა სწრაფო ტრიალო.
უფსკრულებში დასანთქმელო
ჩანჩქერების ჩქრიალო,
შხარას თეთრო საფეთქელო,
უშბას შუბლის ფრიალო!

ეს ხომ ბასრი ხმლების დარი
თეთრი ჭიუხებია,
არწივების ნაბუდარი
შორს თეთნულდის მხრებია.
ხევში რისხვით ჩამომდგარი, —
ჩემი ძმების ხმებია!..

II

მთებზე ქარბუქი დგებოდა,
ფეხქვეშ წავარნა არწიეს,
რომ გამარჯვება რგებოდათ
სამშობლოს ჭაბუკ არწივებს.

თორმეტი გმირი ომობდა,
თორმეტი ვეფხის სადარი,
რომ თეთნულდს გადასდგომოდა
მშობელი ქვეყნის სარდალი.

ადგილი ჰპოვეს რჩეული,
დადგეს ბელადის სახება.
ღრუბლები შემოჩვეული,
ახლა სად მოინახება!

ეს ცამ დაიწყო ციმციმი
ბინდების დამაშროპელი,
თუ შორს ცისკარი იცინის
მზის და ლაჟვარდის მშობელი?!

არც ცაა ფირუზიანი,
აკაკის ჩანგს რომ უქია,
არც ცისკარია მზიანი, —
კობას თვალების შუქია!..

თეთნულდის შუბლიც გაიხსნა
ყინულის ზარნიშიანი,
ლილეოს ხმები გაისმა, —
შეწყდა ნისლების შრიალი.

შორით შეირხა მყინვარი,
ლაჟვარდებ-გადაფენილი,
ორბი შეჩერდა მყივარი
მსხვერპლისთვის გადაფრენილი.

ჟრჟოლით დაირხენ ველები
და მთები გოლიათები,
ზღვა სიხარულის ცრემლებით
გაივსეს მწვანე კალთები.

ამღერდა უშბას მხნე-გული,
ამღერდა ყველა გრეხილი,
ამღერდა შმაგი ენგური
კლდეებზე გადატეხილი.

თეთნულდის თავზედ ქარ-წვიმით
ცის თაღი აღარ იალებს,
ისე ჩაიფრენს არწივი, —
ფრთებსაც არ შეაშრიალებს.

მზე ისე გამობრწყინდება, —
როგორც ბელადის ღიმილი,
ცისა და ქვეყნის დიდებას
მკერდს დაებნევა ღილივით.

ისე გადივლის ღრუბლები,
თეთნულდს არ მოებურება.

ბელადთან ნასაუბრები
იხარებს მკაცრი ბუნება.

კაცი-ფოლადი, ნათალი,
მთებს გადახედავ ალერსით.
ბელადი, ბრძენი, მართალი,
მწვერვალი უმწვერვალესი.

1938 წ.

ვაჟას სტრიქონები

მოვხურავ ფანჯრებს, მოვსწყდები ლაჟვარდს,
მხოლოდ შრიალი მესმის ვერხვების.
გატაცებული ვკითხულობ ვაჟას
და ზვიად მთების სუნთქვას ვეხები...
ახმიანდება ლექსებში ალი...
ვაჟას ცრემლები, ვაჟას ოცნება,
ხან არწივების ფრთების შრიალი,
ხან გახელებულ ზღვის მიმოქცევა.
ხან ნაძვის როკვა რტოდალეწილის,
მეხის ქუხილი, ხევში რომ ქრება.
ხან შორეთიდან გადმოხვეწილი,
ველზე ქარიშხლის აბობოქრება.
ხან თითქო რისხვით იქუხა მეხმა
და ეხოები გზავნა მთა-ველად,
ხანაც არაგვის კლდეებთან შეხლას
შესჯიბრებია ვაჟა-ფშაველა...
თითქოს ნისლებიც აგერ მიდიან,
რომ დაეკიდონ ლაჟვარდს ღრუბლებად,
თითქოს შეჩერდა გზაზე მინდია
და მდუმარ ლოდებს ესაუბრება.
თითქოს ვაჟკაცის მტრობა არ უნდათ, —
შეიცხადებენ ნაძვის ხეებიც:

— თემს გადაუდგა გმირი ალუდა,
ცრემლით დატოვა საჯიხვეები...
ვიტყვი: ჩაღვრილი ლექსში ტბორებად,
არ შრება განცდა ჟამთასვლის გამო:
მჯერა სიამის ამთაგორება,
მჯერა სიცოცხლე სამარადჟამო...
და იხურება ტომი ვრცეული,
აღარც შრიალი მესმის ვერხვების.
მე თითონ განცდად გადაქცეული,
ვაჟას ჭაღარას გადავეხვეი...

სიმღერა არჩევნებზე

ლამაზი გვაქვს მთა და ბარი,
ქვეყნად მსგავსი არსად არი.
წინ მიგვიძღვის ბრძენი კობა,
ჩვენი მამა და სარდალი.
ჩვენს მიწაზე ქვაც კი მღერის.
გასრესილი გდია მტერი.
ხალხის არის არჩევნები
და ცხოვრება ბედნიერი.
საბჭოებში ვირჩევთ გმირებს,
ხალხის მკერდში გამოზრდილებს.
დღეგრძელობა დეპუტატებს,
ჩვენი ქვეყნის ერთგულ შვილებს!
ჩვენს წინსვლას რა შეაჩერებს,
სიხარულით ღელავს ტანი.
გაუმარჯოს ჩვენს არჩევნებს!
გაუმარჯოს ჩვენს დიდ სტალინს!

1937 წ.

პირველი ლექსი

„მზე გვიღიმის, მზე დიადი“.
(ჩემი პირველი ლექსიდან)

ქარმა შეაკრთო ჩრდილი შველივით,
მიმოარხია რტონი დიდრონი.
ხე ალმაცერად ხელგაშვერილი
და თავდახრილი ვით ასო დ-ონი

დასცქერის ეზოს ბრძენის იერით,
თითქოს მარშანდელ ფოთლებს იგონებს.
თანაც, ჭარმაგი და მგრძნობიერი,
მისმენს პირველი ლექსის სტრიქონებს...

და მე არ ვიცი რად ღელავს გული
ან რად მგონია ეს სუფთა ზეცა,
ზეცა კრიალა და ლაჟვარდული —
თითქოს ჩემს სულში ჩამოიკეცა.

ან როცა ქარი ფოთლებს მიმოშლის
და ხენი მროკავ რტოებს დახრიან, —
რად მაგონდება, რომ ამ მინდორში
ჩემი ბავშვობის წლები დაქრიან!..

რად მომძახიან ნელი გუგუნით
წელში მოხრილი ცაცხვის რტოები:

ისევ გვაჩნია, ბიჭო გუგული,
ჭრილობა შენგან დანატოვები.

თითქოს ეს ცაცხვიც დამემსგავსება, —
განცდა შეარხევს უმხურვალესი.
მინდა ფოთლებით უბის გავსება,
მინდა მტირალი ვაზის ალერსი.

მინდა დავღვარო გული ოდებად,
ვით მზემ დაღვარა ფოთლებში ალი
და ჩემი თავი შემეცოდება:
როგორ უნდა ვთქვა ყლორტის შრიალი.

გულო, ბავშვობის აბობოქრებას
მოგონებებში გვერდს ვინ შეუვლის.
ხსოვნის ზეციდან იგი არ ქრება,
არ არის ბინდი რიჟრაჟეული.

ესეც ბავშვობის გამომსახველი
სტრიქონებია, ჩვენ რომ გვაღელვებს,
მასში არ არის სევდა-ნაღველი,
აღფრთოვანების კარებს აღებენ.

და არც იქნება იგი აროდეს,
მზე არ დაუშვებს ლექსის გულამდე,
მზეს ვუმღეროდეთ და გვიხაროდეს, —
მზესთან დავრჩებით დასასრულამდე!..

1936 წ.

მფრინავ გოგონას
ფადიკო გოგიტიძეს

ახლა ორწოხებს ესაუბრება
ნისლი, მდუმარე ტბას რომ ებურა,
სანამ გორებში მზე არ აენთო.
ლურჯია მთა და ლურჯი ღრუბლები
მთებზე მთებივით ამაღლებულან, —
ზეცა მიწასთან რომ შეაერთონ.

ზეცის შეორთქლილ სარკეში გხედავ,
სივრცეები რომ გადმოგილახავს
და თვითმფრინავით ქუხილს მოდენი.
აქ არი შენი მოხუცი დედა,
შენს ნაწნავებს რომ ფრთხილად ინახავს,
ახედავს ცას და — შენ აგონდები.

გოგო, ამ მთებში დაუდგრომელი
დაგვრჩა ბავშვობა, ვით გაოცება
და სიხარულში დღენი მიჰქრიან.
გახსოვს? მაღალი საქმის მდომელი,
ცაში დაჰქროდა შენი ოცნება,
მე კი ფრენაზე არც მიფიქრია!

არც მიფიქრია, არა, ვფიცავ მზეს, —
არ გამიხსნია ზეცის კარები,
სხვას გაეტაცა ბავშვური გული:

ვაჟა-ფშაველას შუბლის ფიცარზე
ხშირად მითვლია წელთა ღარები,
ვით სტრიქონები მარადჟამული...

ახლა ამაყად ვუცქერ ჩემს ბინას,
როცა ქუხილით ჩამომიქროლებ
და ამ სურვილით გული ივსება:
მე ერთხელ მაინც შემაძლებინა, —
ზღაპრული ძალა მივსცე სტრიქონებს,
რომ აგადევნო ელვის ისრებად.

შენში გმირობის ცეცხლი მეგულვის
და მე შევხარი, გოგო, ამ ყოფას,
რომ გარგო ცაში ახმიანება.
შენი მზითა ვარ შთაგონებული:
შენზე სიმღერის მარადსაყოფად,
მთელი სიცოცხლე არ მენანება.

და გვიან... როცა სამარის ლოდზე
დამაწვებიან წლები მწუხრივით,
მყუდროებაში რომ იშრიალონ, —
მინდა მაშინაც კი მომაგონდე
და ჩამომესმას შენი ქუხილი,
რომ უცნაურად შემაჟრიალოს!..

1936 წ.

მყინვარის გოდება

მზეს შესტიროდა მყინვარი მკაცრი,
სქელი ნისლების რძით განაბანი:
ქართლის მიწაზე დაეცა კაცი,
პოეზიაში მზის თანაბარი...

დაეცა მარად სიცოცხლის მდომი
და მშობლიური ტირის ყვარელი.
დაეცა ქართლის ჭარმაგი ლომი,
ქართლის ვარამით გაუხარელი.

დაეცა იგი იდუმალებით,
ნათელჩამქრალი ვეღარ ვიცანი.
სულ არ მენახა მისი თვალები
და სისხლიანი შუბლის ფიცარი...

ჩემო ნისლებო, გოდებას ამდენს
ვეღარ ავიტან მისი მნახველი.
ჩემო ნისლებო, მეშვიდე ცამდე
წაიღეთ ჩემი სევდა-ნაღველი!

ჩემო ქარებო, ჩვეული რისხვით,
ქართლის ჭრილობის გამომსახველი, —
წაიღეთ გზაზე დაღვრილი სისხლი
და იმეორეთ მგოსნის სახელი.

ჩემო ტოლებო — მთებო დიადო,
ილიას ჩანგი აღარ გვახარებს:
შეწყდა სიმღერა საგანთიადო, —
თავი დახარეთ!

სწორუპოვარო ბულბულო,
ბულბულო ხმადიდებულო,
ნაღველით გულდათუთქულო,
ბუჩქებში გარინდებულო!

ორბებო ფრთაელვიანო,
სივრცეში თვალგაქცეულო,
ალაზნის წყალო გვიანო,
ალაზნის ველო ვრცეულო.

თერგო, ხან დამღონებელო,
ხან აღტაცებავ მზიანო,
ილიას შთამგონებელო,
მისი ხმის თანაზიარო:

ქარმუხლა ბღაჭიაშვილო,
ტევრებში ჩასაფრებულო,
ყვარელის მთებზე აშლილო
შავი ღრუბლების კრებულო;

კლდეებო, ზედვე წყლულებო,
ილიას შუბლის ღარებო,
კლდეებო დანისლულებო,
არწივთა ნაბუდარებო!

ვაჟავ, მზეგულა ფშაველო,
არაგვო, იალაღებო,

ქართულო ცაო მტკაველო,
პოეზიის ცის თაღებო.

თაღებო, მზის სხივოსანო,
უბინდებელო ხმიანო,
შოთავ — მგოსანთა-მგოსანო,
დიადო, მზის ჩანგიანო,

წამოიქუხეთ და რისხვით
შეაზრიალეთ მთა-ბარი,
გვეძახის ილიას სისხლი,
ჯალათის ხელით ნაღვარი!

1936 წ.

ქართლის ზეიმი

ეს გულმართალი სტრიქონი მღერის,
თუ ქუხან თერგის ზვირთები მკაცრი, —
ვფიქრობ და ჯმუხა, ბრინჯაოსფერი
თითქოს წიგნიდან წამოდგა კაცი.

შუბლნატყვიარი, თვალსხივოსანი
შემომაჩერდა (წიგნი დავხურე).
ერთი შეხედვით ვიცან მგოსანი
ქართლის ცხოვრების მოჭირნახულე.

არ შეწყვეტილა ქუხილი მისი,
თმათა გიშერში შერთვია ვერცხლი.
თვალში უბრწყინავს ქართლის მაისი
და პოეზიის უშრეტი ცეცხლი.

ამბობს: „თაობებს ემახსოვრება,
რომ კვლავ დავბრუნდი ჩანგის მფლობელი,
განახლებულმა ქართლის ცხოვრებამ
მომცა სიცოცხლე ჩაუქრობელი“.

— დიდება შენდა, ლანდო დიადო,
ტყვიამ ვერ შესძლო შენი ზიანი;
წავიდნენ დრონი უგანთიადო
და წამოდექი ნათელმზიანი!

გაგშორდა სევდა გულისწამღები,
გაგეხსნა ზეცა ფირუზიანი,
შემოგცინიან ქართლის ბაღები,
გესმის ჩანგების ტკბილი ზრიალი.

შენც შეუერთე ხმა გამყივარი
და აღტაცება დაუშრობელი,
შენს გაცოცხლებას მღერის მყინვარი,
ზეიმობს ქართლი — შენი მშობელი!..

1936 წ.

განთიადია

განთიადია. გამოხუნდა ღამის ბინდები
და მოჩანს მთების მხარგაშლილობა.
რა დიადია, რა ძვირფასი, რა მიმზიდველი,
ამ ბუნების და ქვეყნის შვილობა!..

რა სიმღერები ჩაექსოვენ ჭადრებს, ჩინარებს,
როგორ იღვრება ნათელი ცაში!
შენც გადმოხატე განთიადი, ჩემო მდინარევ,
და არ შეწყვიტო ტალღების ტაში!..

გულმოხარული მომღერალი რამ შემაშფოთოს!
მომწყურებია ლექსის დარხევა.
და მე შევსცქერი ყოველ ხესა და ყოველ ფოთოლს,
როგორც მეგობარს — გულის ნახევარს.

სად იცის მიწამ ასე სუნთქვა, ცამ — ლაჟვარდები
და გაზაფხულმა — ახავერდება?
რომელი მზის ქვეშ იცინიან ასე ვარდები?!
ლაღობს გული და აღარ ბერდება?

განთიადია, ქარი ხევში ნისლებს მიდენის
და მოჩანს მთების მხარგაშლილობა.
რა დიადია,
    რა ძვირფასი,
        რა მიმზიდველი,
ამ ბუნების და ქვეყნის შვილობა!..

საახალწლო

ჩემი ქვეყნის ბედნიერ ბავშვებს.

ჩემი ფიქრები და გულის ფეთქვა
თქვენ გეხებოდათ უმხურვალესი,
რომ საახალწლო სიმღერად მეთქვა
თქვენი ნაძვივით კრიალა ლექსი.

და, აჰა, ისიც მოსულა თქვენთან,
თქვენი გულების ღიღინი ესმის.
ეს თითონ მე ვარ ლექსის იერით:
აქ არი ჩემი გული და სული.

რა ვუყოთ რომ ვარ თქვენზე ხნიერი
და მაფრთოვანებს ცეცხლი მგოსნური.
გულით ბავშვი ვარ მეც, ბედნიერი,
სასიხარულოდ თქვენთან მოსული!

და მე ყოველი თქვენგანის თვალში
ბედნიერების ციმციმი ვნახე.
თქვენი სიმღერა, სიცილი, ტაში,
მშობლიურ ქვეყნის ჰაერს რომ არხევს, —

ქარიშხალივით გამივლის ტანში
და ფოთოლივით ამაცახცახებს...

ამ აღტაცების უწყვეტი თქეში
კვლავ ამღერების ძალ-ღონეს მაძლევს,

რომ სტრიქონებად დავბრუნდე თქვენში,
რომ ჩავექსოვო თქვენს გულს და ნაძვებს
და სტრიქონების სითბო და ეშხი
გახალისებდეთ პატარა და-ძმებს.

1935 წ.

ცარლა

I

ცაზე გარბოდა ღრუბლის ირემი,
რქებზე აეგო მთვარე მტკაველა
და გულგაგმირულ ნანადირევით
ხევში ოხრავდა ვაჟა-ფშაველა...

ზვიადი მთების მხრებზე დაბჯენილს
ღამეს აკრთობდა ვარსკვლავთ კრებული.
იდგა თეთნულდი — ცის ყავარჯენი
ყოველ დრო-ჟამში გათეთრებული.

და როს მზის შუქი დაეცა ველებს,
ცას აღარ აჩნდა მთვარე მტკაველა,
მომაკვდავ ირმის თვალებში ცრემლებს
კოცნით აშრობდა ვაჟა-ფშაველა...

მაგრამ ვინ იყო მზრუნველი შენთვის,
ვინ გყავდა ცრემლის დამაშრობელი?
ზვავმა დაღუპა ძმა ერთადერთი,
სისხლის აღებამ — მამა მშობელი.

და ქოხში ღამემ შემოიხედა,
სადაც გმინავდი დაჭრილ შველივით.

რა გულსაკლავად მოთქვამდი დედა,
ხვეწნით ზეცისკენ ხელგაშვერილი...

ტიროდი ასე და დროგაშვებით
შემოგესმოდა ხმები ნუგეშის.
შეუუჟულიყვნენ ქოხში ბავშვები,
როგორც ღრუბლები უშბას უბეში.

ღმუოდა ქარი და ქოხის კარი,
დუმდნენ კოშკები დანათოვარი,
ჩამქრალ კერასთან ბუუტავდა კვარი,
მოხუცი მახვშის * დანატოვარი...

II

ბევრი ვიფიქრე შენზე და გუშინ,
როცა შევაღე ოთახის კარი,
ლექსის გაჩენა ვიგრძენი გულში
და წამოვიდა პირველი ბწკარი...

ცოტა ხნის შემდეგ ქაღალდზე ვნახე
ჩემივე ფიქრი ლექსის მძივებად
და შევადარე მე შენი სახე
მზის ღრუბლებიდან გამოსხივებას.

ვერ შევაჩერე კალმის მახვილი,
დიოდა ლექსი მთის ჯიშიანი,
თითქოს მესმოდა შენი ძახილი
და პარაშუტის დინჯი შრიალი.

---

* ოჯახის უფროსი, წინამძღოლი.

თანაც მინდოდა, ძვირფასო, მაშინ
მთებსაც გაეგოთ ომახიანებს,
რომ მათ კალთაში გაზრდილი ბავშვი
ზეცის კამარას გაეხმიანე!

მინდა შევსძახო ნისლების დროშას,
ხავსიან კოშკებს, შხარას და მყინვარს:
— ცრემლის მიზეზი გადაჰყვა დრო-ჟამს
და ცარლას მკერდზე ორდენი ბრწყინავს.

ვინც გამოგზარდა ზეცის არწივად,
ვინც ცა გაგიხსნა ფირუზიანი,
მის დასაცავად თავსაც გასწირავ. —
ვერ მოგაყენოს მტერმა ზიანი.

მინდა გიხილო ლურჯშარვლიანი,
ჩამოგფანტოდეს თმები ვაჟური,
შემოგთავაზო ვარდნი, იანი
და სტრიქონები — გრძნობის ნაჟური.

ერთიც ქალაქში სადმე დაეშვი,
შემოდი ჩემთან და არ დამძრახო,
შენზე მომღერალ მგოსნის თვალებში
თუ სიხარულის ცრემლები ნახო!..

თვით საუკუნეც ვერ დაგვაბერებს

აბრეშუმის მქსოველ კომკავშირელს, ორდენოსან სონია ხობუას.

I

ბინდორი სჩანდა სპარსულ ნოხივით
ურჩი მდინარის სანაპიროდან.
ბებერი მუხა წელში მოხრილი
ღარიბი ქოხის ბედზე ტიროდა.

იცრემლებოდნენ: მუხა კეთილი,
ყანები მწვანე, ყანები ლურჯი.
დღედაღამ შრომით მუხლმოკვეთილი,
ცას შესცქეროდა ოჯახის ბურჯი.

და გულში ენთო ნატვრის ალმური:
ყოფის საზღვარი გადაელახა,
რომ მზის სხივები და სიხარული
თავის ღარიბულ ქოხშიც ენახა.

ხნულში დარბოდი ცისფერთვალება,
თითქოს ბუჩქებიც გიცქერდნენ რისხვით.
შენი ბავშვობა იყო წვალება, —
ფეხის თითებში გდიოდა სისხლი...

და თრთოლა მუხა შენი მნახველი...
მაგრამ დავეხსნათ, ნუ გვაგონდება
დღეები სევდის გამომსახველი,
დედის ცრემლები, ქოხის გოდება!..

II

ფანჯრიდან მოჩანს ღრუბლის ნაპერი,
შენი, მადონას თვალივით წმინდა.
მე, სტრიქონებით ცეცხლის დამფერი,
გიცქერ და შენზე სიმღერა მინდა.

მინდა სიმღერა იყოს მარადი,
დრო-ჟამში რომ არ შეიბინდება,
წამოიქუხოს მთიდან ბარამდი
და ხალხს გადასცეს შენი დიდება.

გუშინ მშობლიურ დაზგებთან გნახე,
მაქო მოსხლიტე, როგორც შურდული.
გიელვარებდა საყვარელ სახეს
თმის აბრეშუმი ჩამობურდული.

შემოტრიალდი და რაოდენი
ვიგრძენი სითბო და ქარიშხალი,
როცა გაბრწყინდა მკერდზე ორდენი
შენი გმირობის დიდი ნიშანი.

გინახავს კრემლში კაცი ტიტანი,
ჩვენი ბელადი, მამა მშობელი,
მზის და უფლების ხალხთან მიმტანი,
მაშვრალთა ცრემლის დამაშრობელი.

გინახავს ქვეყნის ბრძენი სარდალი,
გიგრძვნია სითბო მისი მარჯვენის,
და გიმღერია მზის შესადარი
სიმღერა ბრძოლის და გამარჯვების.

დაგიძლევია მწარე ცხოვრება,
მოსაგონადაც დამღონებელი.
მე სამარემდე მემახსოვრება
შენი გმირობა შთამგონებელი.

ჩვენ კომკავშირი გვზრდიდა გმირული,
ვიცავთ სტალინის უძლეველ დროშას.
სამშობლოს საზღვრებს შემორკინული
კვლავ მებრძოლებად შევრჩებით დრო-ჟამს.

...ისევ ელვარებს ცის სილაჟვარდე
შენი, მადონას თვალივით წმინდა.
ვუცქერ ფანჯრებზე გადმოხრილ ვარდებს
და ჩვენს დღეებზე სიმღერა მინდა.

შენი ცხოვრების დიდებას მღერის
ეს ყვავილებიც ფერად-ფერადი.
შუქდაფრქვეული ელვარებს ჭერი
და შემოგვცინის ბრძენი ბელადი.

კრთიან ფარდები მოქარგულები,
ვისმენთ მღელვარე მუსიკის ბგერებს,
ისე გამთბარან ჩვენი გულები, —
თვით საუკუნეც ვერ დაგვაბერებს!..

სიყვარულის შემოპარვა

ეს რა გრძნობები გულში სახლობენ,
გაუცნაურდა ჩემი ცხოვრება.
ხან ყოველ ხეშიც ვხედავ ახლობელს,
ხან ჩემი თავიც მეუცხოება!..

ეს ტკივილია თუ შარბათია,
თუ იდუმალი რაღაც ზმანება!
რამდენი ღამე ჩემთან ათია
და მოსვენების არ მომცა ნება.

არ შემიცოდა — აღარ დამტოვა,
გულში დაფარულ ცეცხლად გროვდება.
დავდივარ ხალხში ან თუ მარტო ვარ,
აღარ მშორდება, აღარ მშორდება!..

ახლა ღამეა, მოვარდა ლექსი
და ამითრთოლა ქაღალდზე ხელი.
ჩემთვის ძვირფასი და უნაზესი,
გაიმეორა შენი სახელი...

და მივხვდი რითაც ვარ დადაღული,
რაც მამღელვარებს, კარგო, ფარულად:
— შენ გაგიბზარავს ეს ჩემი გული
და სიყვარული შემოპარულა!..

1939 წ.

საყვედური ჩემს საათს.

გიძგერს გული და მიდის წუთები,
საუკუნეთა მდინარეს ერთვის.
ყოველთვის გივლი, გესათუთები
და საყვედური არ მითქვამს შენთვის.
შენ გვატყობინებ დროის დინებას,
მეც შეგეთვისე დიდი ხანია.
და თუმც არ მითქვამს, გეცოდინება:
ხვალ გულისწორთან მიმიხარია.
მაგრამ წუთები რა ნელა გადის,
გვიან ღამდება, გვიან თენდება,
თვალებში მიდგას ძვირფასი ლანდი
და მოლოდინის ცეცხლი მედება...
რად მიორგულე, რად მიღალატე,
ბედნიერების ჟამთ-აღმნიშვნელო,
ხვალამდე მკერდში გულს ვერ დავატევ
უნდა აჩქარდე, უნდა მიშველო!..

1939 წ.

თაიგული და ეს გული...

მინდა ვიყო ბავშვი, მოვსწყდე დედის კალთას,
და როცა მზე გაშლის რძისფერ ნისლის ფარდას: —
გადვიპარო ბაღში,
მივირბინო წყალთან...
შენი ნახვის მკლავდეს ნდომა,
ვიწყო ყვავილთ კრეფა,
ზოგი ჰგავდეს შემოდგომას,
ზოგი — აპრილს მფეთქავს,
თაიგული და ეს გული
შენ მოგიძღვნა ერთად!..

* * *

დასაღამოვდა. დაეცა ბინდი,
ხევებში ჩადგა მოღლილი ქარი,
მუქი ნისლები ზეცისკენ მიდის,
ჩემი ფიქრები კი შენთან არი!..

ღამეა. მიწა ძილს არ აპირებს,
ველებს ეღვრება ნათელი მთვარის,
სადღაც ირემი ეძახის ირემს,
ჩემი ფიქრები კი შენთან არი.

თენდება. შუქით ცა ივერცხლება,
მზეს ეგებება ბულბულის ქნარი.
ლაჟვარდს ეკვრება გუნდი მერცხლების,
ჩემი ფიქრები კი შენთან არი!..

გ ზ ა ზ ე

დაღესტნის მთებში დაეშვა ღამე,
დეკემბრის ქარი მოსდევს ვაგონებს.
სადა ხარ, კარგო, მითხარი რამე,
სადა ხარ, კარგო, ხმა გამაგონე!..

გაფითრდა ზეცა ზარნიშიანი,
და ვით პეპლები მოფარფატენი,
სათუთი ფრთების წყნარი შრიალით
ფანჯრებს აწყდება თოვლის ფანტელი.

გავსცქერით ბნელში მთებს და ტრამალებს,
ხან ხმალშიშველა შამილს ვიგონებთ.
მე ჩემი ცეცხლი ვეღარ დავმალე
და შენზე ვმღერი რჩეულ სტრიქონებს.

ცაში თუ ჩაქრა მზე და ნათელი, —
ჩემს გულში მაინც შეინახება.
განთიადს ვხვდები ღამენათევი
და თვალწინ მიდგას შენი სახება!..

*
* *

შენი შეხვედრა მინდოდა ცალკე,
ჩემო მდინარეე, მოველ და გნახე.
ჩავხედავ შენი ზვირთების სარკეს,
იქნებ ვიპოვო იმისი სახე...

მაგრამ სად არი... ვეძებ და არ ჩანს...
ქარმა წუხილი გამიზიარა:
„იგი ამ მთების გადალმა დარჩა
და დაგაჩინა გულზე იარა...“

გამეხმაურა ზვირთების რიგი,
როცა ნაპირზე მოაწყდა ქშენით:
„აქ, მეგობარო, არ არის იგი
და ამაოა ლოდინი შენი...“

ვერ ავიტანე წუთები მწველი,
შემოვტრიალდი გულდაწყვეტილი,
წერის დროს ქაღალდს დაეცა ცრემლი
და უნებურად დავსვი წერტილი...

ექვსი მადონა

ხართ შეფიცული ექვსი მადონა,
თუ ექვსი ვარდი გაღიმებული!
თქვენმა გაცნობამ ლექსი მანდომა
და მეგობრულათ გაგიღეთ გული.
ხართ მშვენიერი ექვსი მადონა,
თუ ექვსი ვარდი გაღიმებული!

ჩემი ოცნება თქვენთან შეზრდილა,
დიდი იმედი ჩემი არსების.
ისე მახარებს ახლა ეს დილა, —
გაფრენილ არწივს დავემსგავსები.
ჩემი ოცნება თქვენთან შეზრდილა
და ნახევარი ჩემი არსების!..

მკერდში ათასი გული რომ მქონდეს, —
ყველა თქვენს ნახვას მოისურვებდა.
მომიგონებდეთ, დაგშორდეთ ოდეს,
თქვენს ყვავილებთან, ფერად სურებთან.
დებო, ათასი გული რომ მქონდეს, —
ყველა_თქვენს ნახვას მოისურვებდა!

და კრიალებდეს ულრანში გზები...

გზის გაფართოების დროს, ენგურის ნაპირას აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხი.

დამიწებულხარ, დავიწყებულხარ,
რა გულსაზარი გინახავს ბინა,
თავს დაგშრიალებს ბებერი მუხა
და შფოთიანი ენგური გმინავს!..

ძვლებს მოგზაური ღრუბელი უმზერს,
ნაძვები დახრილ რტოებს არწევენ.
შენს გამოფიტულ, ფრიალო შუბლზე
მე ვაკვირდები ლურსმულ წარწერებს...

ენგურო ჩემო, მღვრიე თვალებავ,
განაბე ზვირთი გაუნაბავი
და შენი მოძმე თუ გებრალება, —
მისი დაცემის მითხარ ამბავი!

კლდემ ნაპრალები ნისლით გაივსო
და გულს ატყვევებს ღღურტული მერცხლის.
დე, მისმა ძვლებმაც გაიხალისონ, —
გადააყარე შხეფების ვერცხლი.

აკრიფე, ცაო, ჩრდილები მუქი,
დილით რომ ხეეში გადმოგვაბურე

და ჩაუყენე ცხოველი შუქი
მისი თვალების გამოქვაბულებს!

ალბათ დაღუპა ზვავის ქუხილმა,
ჭირისუფალიც მაოლოდ მთებია.
ბას სიცოცხლეში მზე არ უხილავს,
მისთვის ალოდეს გინათებია!

დამიწებულა, დავიწყებულა,
რა გულსაზარი უნახავს ბინა!
წუხელ მტირალი ნისლი ებურა,
ახლა — ენგური ცრემლავს და გმინავს...

არ იყოს, ძმებო, დაძაბუნება,
კლდეს დავაჯახეთ წერაქვი გზნებით.
შემოგვხალოდეს დედა ბუნება
და კრიალებდეს ულრანში გზები!

უგზობით ხევში გადაჩეხილა
და მისი ძვლები მიწას ადნება.
რა იქნებოდა ჩვენთან ეპილა
მთებში დიადი მზის დაბადება...

ასცილდებოდა ხიფათის ბადე, —
ვერ ჩახედავდა სულში წყვდიადი:
უკვდავებას და სიხარულს ბადებს
ჩვენი დღეები და განთიადი.

არ იყოს, ძმებო, დაძაბუნება,
კლდეს დავაჯახეთ წერაქვი გზნებით.

შემოგვხაროდეს დედა-ბუნება
და კრიალებდეს უღრანში გზები!

ცას მივაგებოთ ლილეოს თქეში,
შხარას ყინულის გამადნობელი.
გადადიოდეს ხევიდან ხევში
მზის და ბელადის სამადლობელი.

ვერ დაგტოვებ

მოვა მაისი,
მინდორ-ველი აგუგუნდება,
ცას ეხატება ფრინველები ფერად გუნდებად,
კვლავ მიგვატოვებს, დაგვშორდება გამოხუნდება...

მოვა ზამთარი.
მიწა თოვლით დაიბურება,
მთაში არწივსაც დაეტყობა დაძაბუნება,
კვლავ გაგვშორდება, — გაცოცხლდება დედა-ბუნება.

მეც მოველ შენთან,
შენით ვხარობ, შენით ვღონდები,
შინ ვარ თუ გარეთ, შენ მახსოვხარ, შენ მაგონდები
და ვერასოდეს, ჩემო კარგო, ვერ დაგშორდები!..

23/9—39 წ., ქუთაისი

რუსთველი კრემლში

დამქონდა ნატვრა გამოუთქმელი,
გულში სათუთად ღამის მთეველი;
თვალით მენახა შოთა-რუსთველი,
დრო-ჟამისაგან დაუძლეველი.
მენახა იგი მგზავრი გვიანი,
ვინც ადიადა სიტყვა მგოსნური. —
მენახა შოთა ფრთისკალმიანი,
კვლავ სიმღერებით ჩვენთან მოსული...
თითქოს ვიხილე შავი მერანით,
მზის ჩანგიანი, მკლავღონიერი...
შორით ისმოდა ლექსთა ბგერანი
და ელვარებდა მგოსნის იერი.
სწრაფად მოშვილდა მერანი მკაცრი,
შემოსცინოდა მხედარს მთა-ბარი,
კრემლს მოაშურა, სადაც ბრძენკაცი
ეგულებოდა მზის თანაბარი.
აღარ ცურავდა ცრემლების ტბაში,
აღარც წარსულის აჩნდა ზიანი,
შემოჰყვა ტაში,
დაუხვდა ტაში,
დაუხვდა ხალხი ნათელმზიანი...
და თქვა მგოსანმა: მტრის ვანათელი,
ვინც ამარიდა ბნელი საფლავი,

ვინც გადამფინა ქვეყნათ ნათელი
და არ დამტოვა დაუდაფნავი,
ვინც ხალხის ნამდვილ მხსნელად შობილა,
ვისზეც მღერიან მთიდან ბარამდი,
ვინაც ერები დააძმობილა
და სიხარული მოგვცა მარადი, —
მას ჩემი ოდა, ჩემი დიდება,
წიგნიც დრო ჟამის ნაჯირითევი...
კრემლში მღეროდა ხალხთა დინება
და შრიალებდნენ შოთას რითმები...
ბრწყინავდა ზეცის დასალიერი,
ბრწყინავდა შოთა ჰანგთა მფლობელი
და კვლავ ეღეროდა ჩანგი ძლიერი,
ყინწლის მთათა გამალხვობელი:
— ბნელში ვუმღერდი გნირებს ერთგულად,
მათი დიდების გამომსახველი,
ახლა რომ ხალხში გადანერგულა, —
იფერფლებოდა ჩემი სახელი...
დღეს კი მეღირსა... გავჭერ წყვდიადი,
მწარე წარსულის კარი დავხერე,
ვნახე ქვეყანა, უხვი, დიადი,
ჩემი ნამდვილი მოჭირნახულე...

დავით კლდიაშვილს

მოგონებები აიშლებიან
და მოთხრობებზე კამათს ვუნდები; —
მაშინვე თვალწინ ჩამოდგებიან
მწარე დაისის აზნაურები:

აგერ სოლომონ ბედს, რომ აძაგებს
ერთი გამხდარი ჯორის პატრონი.
იქ ნათხოვარ ცხენს მიაჩაქჩაქებს
და დედინაცვალს ეძებს პლატონი.

ღრმა მოხუცებულს ეს გქონდა დარდათ
და ჯავრისაგან გული გეწოდა:
შრომის უნარი, რომ დაგეკარგა
და მკლავში ძალა აღარ შეგწევდა.

მაგრამ შენ მაინც ბედნიერი ხარ
საკუთარ თვალით გახდი მხილველი:
თუ ქამუშაძემ როგორ მიიღო
დამკვრელობისთვის ჯილდო პირველი.

დღეს აღარ გვყავხარ, შენი აზრები
ჩვეულ სტრიქონებს ვეღარ ალაგებს,
მაინც შენ მუდამ ჩვენთან დარჩები
დიდი მწერალი და მოქალაქე.

ზეიმი სოფელში

მიწამაც იგრძნო ამ დღის ხალისი,
მთებმა ასწიეს მხრები დახრილი.
ყველგან მუსიკის ხმები გაისმის
და ვაჟკაცური შემოძახილი.

მოდიან ერთად, მოუხარიათ
და სიხარული მოაქვთ ულევი.
რა სანეტარო დრო და ხანია,
რა ტკბილად ძგერენ მათი გულები!

მოდიან როგორც გოლიათები,
თაიგულები მოაქვთ ფერადი.
ღელავს ელვარე დროშის კალთები
და ილიმება ბრძენი ბელადი.

მოდიან, ქუჩა მწყობრით ივსება,
დღე არის ბრძოლის და გამარჯვების.
ჩვენში მოესწრო მზეს და ღირსებას
მათი შრომა და მათი მარჯვენი.

მოდიან ერთად, გმირობის ეშხით,
წინათ რომ თვალზე ბინდი ებურათ,
ამ საამური ცხოვრების მზეში
დღეს საზეიმოდ შეერთებულან.

მოდიან, კრთიან ცის ლაჟვარდები —
და სიმღერებიც ცამდე ადიან.
ოდებში დარჩა მზე და ვარდები,
ქუჩებში მაინც მზე და ვარდია.

მოდიან, ყელი მოუღერიათ,
გული ხალისობს მათი მნახველი,
შრომის დიდებას ერთად მღერიან
სავსე ბეღლები და ვენახები.

მოდიან ასე გმირობის ეშხით,
წინათ რომ თვალზე ბინდი ებურათ,
ამ საამური ცხოვრების მზეში
დღეს საზეიმოდ შეერთებულან.

6—XI—39 წ.

ალ. პუშკინი

ყვავილი

ყვავილი მჭკნარი, ყვავილი მკრთალი,
სურნელწასული, დავიწყებული,
წიგნში ვიპოვე, მოვკარი თვალი,
და მოგონებით აღმევსო გული:

სად ყვავილობდა, რომელმა ველმა
ზარდა, მომწყვეტი ვინ იყო, ნეტა.
ნაცნობისა თუ უცნობის ხელმა
აქ რატომ ჩასდო, რად გაიმეტა?!

რომ მოაგონოს შეხვედრა თბილი,
თუ განშორება საბედისწერო,
თუ მარტოობა, სევდით აღსილი,
ველთა სიმშვიდე და ტყეთა ჩერო?!

იქნებ ცოცხალი თუ არის ახლა
იმ ქალიშვილის თუ ვაჟის გული,
თუ მისი გულიც ისევე გახმა,
ვით ეს ყვავილი დავიწყებული?!



ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ.
სევერიან ისიანი—გ. ჯიბლაძე	III
სვანური სიმღერა სტალინზე	3
სამშობლო	6
გაანადგურე	8
ნახვამდის	9
ყველაფერს ვხედავ	11
ჩემს ლურჯას	13
საბრძოლო გადაძახილი	15
მე და არწივა	17
სამი ლექსი	19
შეხვედრა ქართან	21
მზე ამოიტანს რევოლუციას	24
ლევანევსკი	28
აკაკისადმი	30
გული და დღეები	31
ბელადის სახლი	32
ამ მიწაზე, ამ ლიახვთან	34
ნიკოლოზ ოსტროვსკის ხსოვნას	36
გარბენის გმირს	38
მეტროში	41
ზამთარი ჩემს სოფელში	42
არ დაკარგულან	44
ბელადი თეთნულდზე	46
ვაჟას სტრიქონები	50
სიმღერა არჩევნებზე	52
პირველი ლექსი	53
მფრინავ გოგონას ფადიკო გოგიტიძეს	55
მყინვარის გოდება	57
ქართლის ზეიმი	60
განთიადია	62